

ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №32, სექტემბერი, 2015 წელი

27 სექტემბერს სოხუმის დაცემიდან 22 წელი გასრულდა



სოხუმის დაცემის დღე ჯვართამაღლების დღეს დაემთხვა, რაც აფხაზეთიდან დევნილებს არ უკარგავს იმედსა და რწმენას, რომ დაცემას ამაღლება მოჰყვება და აფხაზეთიდან გამოსვლას - აფხაზეთში დაბრუნება.

27 სექტემბერს სამეზობლო საკათედრო ტაძრიდან ხატი - „ყოველთა მწუხარება სიხარული“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული

გმირების მემორიალთან გადააბრძანეს. ხატი აფხაზეთში 90-იან წლებში განვითარებული ტრაგიკული მოვლენებისა და დაღუპულთა სულების მოხსენიებისა და შერიგების მლოცველთათვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უნ-მინდესისა და უნეტარესის ილია II-ის

ლოცვა-კურთხევით დაინერა. მემორიალთან დაღუპულ მეომართა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი აღევლინა, რომელსაც აფხაზეთის ომში დაღუპულთა დედაბებიც ესწრებოდნენ.

გმირთა მემორიალი ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ისე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრებმა და აფხაზეთიდან დევნილებმა.

შემდეგ მათ ყვავილებით შეამკეს ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაო და საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას საფლავი. პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ხსოვნას.



დიმიტრი (არზაყან)
ემუხვარის ხსოვნის
უკვდავსაყოფად



33.2

ენგურჭესის თაღოვან
კაშხალს კულტურული
მემკვიდრეობის ძეგლის
სტატუსი მიენიჭა



33.3

გიმა ჯაიანი 65



33.5-8

სოხუმი საინტეხესო
საქადიხაჟო ისტოიების
ქადაქიჟ იჟო



33.11

მოქვის ღვთისმშობლის ტაძარი

ბაჟან ხორავა

ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი, მოქვის ტაძარი მდებარეობს აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონის სოფ. მოქვში, მდ. მოქვთან მისი მარჯვენა შენაკადის მდ. დვების შეერთების ადგილას, სწორ, ამაღლებულ ვაკეზე.

მოქვის ტაძარი აგებულია X საუკუნეში. იგი ჯვარგუმბათოვანი სტილის სამნავიანი ნაგებობაა, სამლოცველოების მწკრივით განაპირა ნაგებობის გასწვრივ. აღმოსავლეთის მხრიდან ტაძარს სამი შვერილი აფსიდი აქვს. შუა, საკურთხევის აფსიდი შიგნიდან ნა-

ლისებური ფორმისაა, გარედან ხუთნახნაგაა. გუმბათი ეყრდნობა შენობის ცენტრში აღმართულ ოთხ სვეტს. კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა განხორციელებულია აფრების საშუალებით. გუმბათის თორმეტნახნაგა ყელი დაბალია. ტაძარი შემოსილია თლილი ქვის პერანგით, ფასადებზე ჩუქურთმები არა აქვს.

„მატიანე ქართლისას“ ცნობით, მოქვის ტაძარი აგებულია და კურთხეულია საკათედროდ „აფხაზთა“ მეფის ლეონ III-ის (957-967) მიერ: „ამან (ლეონ III-მ, - ავტ.) აღაშენა ეკლესია მოქვსა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“. ლეონ III-ის მიერ ტაძრის საკათედროდ კურთხევა IX-X სს. „აფხაზთა“ სამეფოში მიმდინარე იმ პროცესის შემადგენელი ნაწილია, როდესაც იქმნება ჭყონდიდის, ბედიის, დრანდის საეპისკოპოსოები.

მოქვის ეპარქიის მღვდელმთავარი ცნობილია მოქველის სახელით. თითქმის ყველა ცნობილი მოქველი მღვდელმთავარი მთავარეპისკოპოსის ხარისხს ატარებს, რაც ქვეყანაში მოქვის საეპისკოპოსოსა და მოქველ მღვდელმთავართა დიდ როლზე მეტყველებს. ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1758) ცნობით, მოქველთა სამწყსოს შეადგენდა ტერიტორია მდ. მოქვსა და მდ. კოდორს შორის.

გაგრძელება გვ. 9



სასწავლო წელი განახლდა

ნინო ლომაძე

წლეულს ახალი სასწავლო წელი როგორც დანარჩენი საქართველოს, ისე აფხაზეთის საჯარო სკოლებში 14 სექტემბერს განახლდა. აფხაზეთის 13 საჯარო სკოლაში 146-მა პირველკლასელმა შეაღო სკოლის კარი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი



ტრმა დიმიტრი ჯაიანმა 2015-2016 სასწავლო წლის დაწყება აფხაზეთის №2 და №3 საჯარო სკოლების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მიულოცეს და წარმატებული წელი უსურვეს. სტუმრებმა განახლებული საკლასო ოთახები და ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს.

ტრადიციულად, ყველა პირველკლასელს სახელმწიფო-გან საჩუქრად გაუმჯობესებული ნეტუბუკები და წიგნები გადაეცა. აფხაზეთის საჯარო სკოლების ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილ იქნა უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების კომპლექტით.

ამ ეტაპზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (სამეგრელო, იმერეთი, თბილისი და სხვა) ფუნქციონირებას აგრძელებს აფხაზეთის 13 საჯარო სკოლა. აფხაზეთის სკოლებში სწავლობენ როგორც აფხაზეთიდან დევნილი, ისე ადგილობრივი თემის ოჯახების შვილები. აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით აფხაზეთის საჯარო სკოლებში მოსწავლე ბავშვები არ ჩამოუვარდებიან ადგილობრივი საჯარო სკოლების მოსწავლეებს. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ აფხაზეთის სკოლები შეიქმნა ცარიელ ადგილზე, წლების განმავლობაში მათ თავიანთი საქმიანობით შეძლეს კონკურენტულ გარემოში თავის დამკვიდრება და ბევრ ადგილობრივ სკოლას გაუნიეს კონკურენცია. თუმცა ამ სკოლების აქილევსის ქუსლს კვლავაც წარმოადგენს არატიპური სასკოლო შენობისა და ფართის საკუთრების საკითხი.

ამ პერიოდისთვის მოხერხდა პრობლემის ნაწილობრივი მოგვარება: ქ. სენაკში თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 და ქ. ფოთში აფხაზეთის №21 საჯარო სკოლებს გადაეცათ ტიპური სასკოლო შენობები და მოხდა მათი ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია. ქ. ქუთაისში ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 სკოლას, რომელიც წლების განმავლობაში ყოფილი კულინარიისა და ეკონომიკის



სასწავლებლის შენობის მეხუთე სართულზე იყო განთავსებული, გადაეცა შენობა და რეაბილიტირებულია. ქ. ზუგდიდში განთავსებული აფხაზეთის №1 საჯარო სკოლა ასევე ფუნქციონირებს რეაბილიტირებულ შენობაში და მიმდინარეობს შენობის დაკანონების პროცესი. რაც შეეხება ქ. თბილისში ფუნქციონირებად აფხაზეთის №2 და №3 საჯარო სკოლებს, სახელმწიფომ მათ სარგებლობის უფლებით გადასცა დაკავებული ფართი.

სკოლებში არსებული პრობლემების მოგვარების მიმართულებით მუშაობას აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო აფხაზეთის ა/რ მთავრობასთან ერთად კვლავაც ინტენსიურად აგრძელებს.

მაღე თბილისში ქართულ-აფხაზური კულტურის ცენტრი შეიქმნება

სალომა თორია

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში ქართულ-აფხაზური კულტურის ცენტრი შეიქმნება. ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს მიხეილ გიორგაძეს და აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ვახტანგ ყოლბაიას შეხვდა.

შეხვედრაზე აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში ქართულ-აფხაზური კულტურის ცენტრის შექმნის სამომავლო გეგმები განიხილეს. ამასთანავე, სტუმრებმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მფლობელობაში არსებულ შენობაში მიმდინარე სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაათვალიერეს.

ცენტრის შენობის რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხები აფხაზეთის მთავრობის ბიუჯეტიდან გამოიყო, რომლის მობილიზება ბიუჯეტის ეკონომიის ხარჯზე გახდა შესაძლებელი. რეკონსტრუქციის შემდგომ დევნილობაში მყოფ კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღას“, აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელას, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთს“ შესაძლებლობა ექნებათ რეპეტიციები კომფორტულ გარემოში გამართონ და სხვა შემოქმედებით და სპორტულ კოლექტივებთან ერთად საზოგადოების წინაშე წარსდგნენ შემოქმედებითი საღამოებით. ყოველივე ეს კი მიზნად ისახავს აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენას, შენარჩუნებასა და განვითარებას.



დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სსოვნის უკვდავსაყოფად

აბაბარიძე გიორგი



წლეულს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელთა კრების წევრის, აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარის დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის 135 წლის იუბილე აღინიშნება. ამასთან დაკავშირებით ვაშლიჯვრის დასახლებაში დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სახელობის ქუჩა და მემორიალური კომპოზიცია გაიხსნა. კომპოზიციის ავტორია სოხუმელი მოქანდაკე და მხატვარი ზურაბ კოკაია.

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სახელობის ქუჩის და მემორიალური კომპოზიციის გახსნის ინიციატივა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ეკუთვნის და საქართველოს მთავრობის, ქალაქ თბილისის მერიისა და ქალაქ თბილისის საკრებულოს ხელშეწყობით განხორციელდა. კომპოზიცია ქ. თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილმა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ გოგი ფაცაციაშვილმა გახსნეს.

ვახტანგ ყოლბაიამ არზაყან ემუხვარის მოღვაწეობასა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში მის დიდ როლზე ისაუბრა. მან მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას, ქალაქ თბილისის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს თანადგომისა და მხარდაჭერისათვის.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს დავით ნარმანიამ და გიორგი ალიბეგაშვილმა. კომპოზიციის გახსნას ასევე ესწრებოდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი – დიმიტრი ჯაიანი.

არზაყან ემუხვარის შთამომავალმა ნატო მარმანიამ მადლობა გადაუხადა ყველას, ვისი მონაწილეობითაც პატივი მიეგო დიდი აფხაზისა და დიდი ქართველის სსოვნას.

არზაყან ემუხვარის 135 წლისთავთან დაკავშირებით მაღე შედგება პრემიერა არზაყან ემუხვარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური ფილმისა – „უდროობის გმირი“, რომელსაც საპატრიარქოს ტელევიზიის სტუდია „ავტოგრაფი“ ამზადებს.

ენგურჰესის თაღოვან კაშხალს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

ნინო გრიგოლია

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ინდუსტრიული მემკვიდრეობის გამორჩეული ძეგლისთვის – ენგურჰესის თაღოვანი კაშხლისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებს. ამასთან დაკავშირებით დაბა ჯვარში გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომელსაც საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საინვესტიციო ფონდის, ენერგოსექტორის, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საზეიმო ცერემონიაზე იმყოფებოდა ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია.



განხორციელდება.

ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგური უნიკალური ტექნიკური და საინჟინრო ნაგებობების ურთულესი კომპლექსია, რომელიც დაბა ჯვარიდან შავ ზღვამდე – აფხაზეთის ტერიტორიაზე ათასამდე კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული. ჰიდროელექტროსადგურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია კაშხალი, რომლის საერთო სიმაღლე 271.5 მეტრი, ხოლო განივი სიგე 728 მეტრია; ცის

თალის ფორმის კაშხალი, მისი სიმაღლით, მეორე ადგილზეა მსოფლიოში თაღოვან კაშხლებს შორის.

ინდუსტრიული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის მნიშვნელობის დასტურია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის წლივანდელი, 39-ე სესია, სადაც ნორვეგიის რიუკან-ნოტოდენის სამრეწველო მემკვიდრეობას – ჰიდროელექტროსადგურების, ელექტროგადამცემი ხაზების, ქარხნების, სატრანსპორტო სისტემებისა და ქალაქების ერთობლიობას – მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა. მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია ასევე, იაპონიის მეიჯი პერიოდის ინდუსტრიული რევოლუციის სივრცეები (ქარხნები, ქალაქები), ჰამბურგის საწყობები, ფორტ ბრიჯი დიდ ბრიტანეთში, „ფრაიბენცოს“ ინდუსტრიული ლანდშაფტი ურუგვაიში. 2015 წელს ევროსაბჭოს გადაწყვეტილებით, „ევროპული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის“ მთავარი თემა სწორედ ინდუსტრიული მემკვიდრეობა იქნება.

როგორც ცნობილია ინფორმაციით, მდინარე ენგურზე ჰესის მშენებლობის დაწყებას საფუძვლად ნიკო ნიკოლაძის სურვილი და იდეა უდევს, რომელზეც მსჯელობა წლების განმავლობაში უშედეგოდ მიმდინარეობდა. ნახევარსაუკუნოვანი ფიქრის შემდეგ ჰესის მშენებლობის გადაწყვეტილება, ტერიტორიის კვლევისა და დეტალური დაზვერვის შედეგად მიიღეს. საბოლოოდ სამშენებლო სამუშაოები 1961 წელს დაიწყო და 1977 წელს დასრულდა. თაღოვანი კაშხლის კონსტრუირება საკმაოდ რთულ საინჟინრო კვლევით ამოცანას წარ-

მოადგენდა. საპროექტო დამუშავების დროს ხდებოდა თაღოვანი კაშხლის კონსტრუქციის თანდათანობითი ფორმირება და ოპტიმიზაცია. საბოლოო სახით მიღებულ იქნა ოპტიმალური ფორმის 3 ცენტრიანი თაღოვანი კაშხალი, რამაც კაშხლის კონსტრუქციის საიმედოობა და სიმტკიცე გაზარდა. ასეთი გადაწყვეტა სრულიად ახალი სიტყვა იყო მსოფლიო კაშხალთაშენებლობის პრაქტიკაში და ეს საკითხი დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. შეთანხმდა ენგურჰესის საპროექტო ენერგეტიკული პარამეტრებიც, ობიექტმა ექსპლუატაციაში შესვლის პერიოდიდან (1977 წლიდან) დღემდე 110 მილიარდ კვტ.სთ-ზე მეტი ელექტროენერგია გამოიმუშავა.

საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროკომისია, შვეიცარიის მთავრობა) თანადგომით 2004-2007 წლებში კაშხლის რეაბილიტაცია განხორციელდა, რომლის ფარგლებში მოხდა კაშხლის ტანში არსებული გაღერების რეკონსტრუქცია, დამონტაჟდა ახალი თანამედროვე სატუმბო დანადგარები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ტურბინა-გენერატორებსა და სხვა ელექტრო მოწყობილობებს. თაღოვან კაშხლზე დამონტაჟდა მონიტორინგის სრულიად ახალი თანამედროვე ტიპის სისტემა. ამდენად, დღეისათვის კაშხლის კონტროლი წარმოებს უახლესი ტიპის სხვადასხვა სახის და დანიშნულების საკონტროლო-გამზომი აპარატურით. საერთაშორისო ექსპერტების საერთო შეფასებით ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი შეტანილია საუკეთესოდ აღჭურვილ კაშხალთა რიგში.



წარჩეს წიხე – ძველ წიხეთა ჯაჭვის ერთი რგოლთაგანი

მას ახლახან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

კათი ღაპითაია

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ გალის რაიონის სოფელ წარჩეში არსებულ წარჩეს ციხეს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

ციხის საღარიცხო ბარათი აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურმა, გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის მიერ მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით, მოამზადა და წარადგინა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად.

ამჟამად გალის მუნიციპალიტეტში მდებარე 5 ეკლესიას და წარჩეს ციხეს აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის ნონა შონიას მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით,

„მდინარე წარჩეს გაღმა ნაპირზე, მაღალი მთის წვერიდან დიდ მანძილზე ბატონობს ადრეული ხანის ციხე. მისი კედლები ძალიან დანგრეულია და ამიტომ ბევრი რამ გაურკვეველია. ციხის გაღმავალი მთის წვერის რელიეფს მიყვება, ამიტომ მისი გეგმა უნესო ფორმის ელიფსურია. სამხრეთის მხარე კლდის ზოლს მიჰყვება და ბევრგან ძირი გამოცლილია, რის გამოც შემდგომ იგი ჩანგრეულია. თითქმის ისეთივე მდგომარეობაა აღმოსავლეთით. ერთადერთი ჩრდილოეთის რკალია 7-8 მეტრის სიმაღლეზე შერჩენილი. შუაში ქვის ვიწრო კიბეა, გაღმავანზე გამავალ საბრძოლო ბილიკზე ასასვლელად. ორ მეტრამდე სისქის კედელზე მეტრძოლთა სასიარულო ბილიკი თავისუფლად დაეტეოდა. გაღმავანი საბრძოლო ბილიკით და კიბით ჩვეუ-

ლებრივი ამბავია ადრეული ხანის ციხეებისათვის. იმავე პერიოდზე მიგვითითებს კედლების წყობის ხასიათი.

ციხის ორივე ბოლო ძლიერ დარღვეულია, ამიტომ ფორმებზე გარკვეული წარმოდგენის ქონა შეუძლებელია. აღმოსავლეთის ბოლოში რაღაც სათავსი აშკარად მდგარა, მაგრამ კოშკი იყო თუ გრძელი სათავსი, ამ ადგილის განმეინდამდე დაზუსტებით ვერ დადგინდება.

ციხის დასავლეთის ბოლოში უფრო დიდი მასაა შერჩენილი, მაგრამ დაზიანების გამო აქაც გაურკვევლობაა. ციხის ამ ნეშტის ზემოთ, 6-7 მეტრის სიმაღლეზე, დადგმულია ტრაპეციული გეგმის მქონე კოშკი თუ რაღაც ნაგებობა, რომლის მხოლოდ ქვედა ნაწილია შემორჩენილი.

მართალია, ციხე დაზიანებულია, მაგრამ ყველა მისი დეტალი იმაზე მეტყველებს, რომ იგი ადრეულია, ძველ ციხეთა ჯაჭვის ერთი რგოლთაგანია“.



სოტას მიკუმატი...

ფტრისები ახალგაზრდა პრტიბოსის პოტრბტისბთის

იოსებ ჯამბარიძე

ქართული კრიტიკის აფხაზური ფრთა – ამ განსაზღვრებაზე საავტორო უფლება როსტომ ჩხეიძეს ეკუთვნის. სწორედ მან დამკვიდრა ეს გამოთქმა ქართულ სალიტერატურო სივრცე-ში. მარინე ტურავა ამ ფრთის ერთ – ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

როცა ჟურნალმა „ჩვენმა მწერლობამ“ მარინა ტურავა წლის საუკეთესო კრიტიკოსად დაასახელა, ფეისბუკში ნახევრად ხუმრობით დავნერე: „მე – „თბილისის“ რედაქტორი, ის მერიის პრეს-სამსახურის თანამშრომელი ეგრეთ წოდებულ „ორშაბათის თათბირებს“ ერთად ვესწრებოდით ხოლმე. მაშინ, „რას ვიფიქრებდი მე უგუჟური“ (ლეონიდე გეცნობოდათ), თუ კრიტიკოსის (თანაც ასეთის) გვერდით ვიჯექი... მშვენიერია, მაგრამ მაინც იმის ცოცხალი მაგალითია, რომ სილამაზე სულის თვისებაა და არა ფიზიკის.“

დამირეკა როსტომმა და მითხრა: „ეს ეს-კიზი არ დაკარგო, ცოტაც მიუმატე და მშვენიერი პორტრეტი გამოვა.“

არ ვიცი, რამდენად ბევრს გულისხმობდა „ცოტაც მიუმატე“ – ში, თავად კი ვფიქრობ, რომ იმ ესკიზში კრიტიკოსის პორტრეტს სამი აუცილებელი შტრიხი აკლდა: ნიჭიერი, ჭკვიანი, განათლებული...

ეს ეპითეტები მარინე ტურავაზე, უდავოდ, ზედგამოჭრილია.

ის სრულიად აკმაყოფილებს კრიტიკოსის ილიასეულ დახასიათებას, რადგან „პარიზის ყავახანის სიბრძნით კი არ დაჰკვირვებია ჩვენს ლიტერატურას, არამედ გამჭრიახის გონების თვალთა, რომელიც ცოდნითა, სწავლით და მეცნიერებით განურთენილია და განწმენდილი ხედვისა და ჩხრეკისათვის.“

თავის საპროგრამო სტატიაში („რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“ – და რომელი არ არის საპროგრამო?!) მართლაც განსაცვიფრებელ აზრს გამოთქვამს:

„ჩვენნი „სწავლულნი, განათლებულნი“, დარვინის თეორიის ზედმიწევნით გაცოდინებენ, ჰეგელის ესტეტიკას, ლესინგისა და ტენის ფილოსოფიას ხელოვნებისა თვისის ხელისგულივით გადაგიშლიან, შექსპირზედ, ბაირონზედ და თუნდა ჰომეროსზედაც...

უზარმაზარ წიგნებს დასწერენ... ერთს პანია ლექსს – კი ჩვენის რომელისაზე პოეტისას ვერ გაუძღვებიან, როგორც რიგია.“

საამისოდო, – ამბობს ილია, – სხვა უნარია საჭიროო, ხოლო „ის სხვა უნარი იგია, რასაც თვითმსჯელობას, თავისით სვლას ეძახიან.“

მარინე ტურავას წიგნში („გარღვეული ლაბირინთი“) არის იმის ჩინებული მაგალითი, თუ რა „რიგიანად უძღვება“ კრიტიკოსი



„ერთს პანია ლექსს.“

იგულისხმება გია კობახიძის უსათაურო ლექსი, რომელიც მუხას ეძღვნება.

მისი ანალიზი მართლაც სანიმუშოა: წარმოჩენილია ლირიკული ნაწარმოების ორგანული კავშირი მითოლოგიასთან, ფოლკლორულ (არა მხოლოდ ქართულ) ტრადიციებთან,

განხილულია სინტაქსი, რითმები, მეტაფორები, რიტმულ-ინტონაციური ასპექტები და მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სწორედ მხატვრული ქრონოტიპი განსაზღვრავს მუხის, კაცისა და მინის კოსმოლოგიურ ერთიანობას. ეს ტრიადა, ერთი მხრივ, მიწაზე მყარად დგომის („ფესვი მიწის გულს მიარღვევს“), მეორე მხრივ, ზეცისკენ მუდმივი სწრაფვის გამომხატველია, ამიტომაც შეიძლება, მუხა სულაც პოეტის სულიერი მდგომარეობის მეტაფორა, მისი მარტოკაცობის სიმბოლოც იყოს.“

ძნელია თქმა, ლექსი უკეთესია, თუ მისი ანალიზი.

ზემოთ განათლება ვახსენეთ. მსოფლიო ლიტერატურის ჩინებული ცოდნა მარინე ტურავას მთავარი მოკავშირეა „თავისით მოქმედებასა და სვლაში.“ უამისოდ ასე ორიგინალურად არ შეფასდებოდა, მაგალითად, როსტომ ჩხეიძის დეტექტიური ცდა – „ორშაბათიც შაბათია“, ვერ დავინახავდით, რით ჰგავს „გამომძიებელი როსტომ ჩხეიძე“ კაფკას ცნობილი რომანის მთავარ პერსონაჟს და „როგორ ცქეულა საქართველო ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში კავკასიული აბსურდის ავანსცენად.“

წიგნის ერთ-ერთ განყოფილებას „ლიტერატურული პროცესი“ ჰქვია.

აქ თვალნათლივ ჩანს, რომ თანამედროვე ქართულ სინამდვილეში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს ერთ-ერთი სერიოზული მკვლევარი და შემფასებელი ჰყავს. ის ერთნაირი გულმოდგინებით ანალიზებს ზურაბ კანდელაკის რადიოპიესებს, ნატა ვარადას, გენო კალანდიას, მურმან ხურცილავას ლექსებს, ირაკლი ლომოურის, ლაშა იმედაშვილის, ზურაბ ლავრელაშვილის, ნიკოლოზ ჩუბინიძის მოთხრობებს, ოლესია თავაძის მინიატიურებს...

მას აქვს კრიტიკოსისათვის აუცილებელი ყველა თვისება, და სწორედ ამიტომ, თუ ბოლომდე გულწრფელი ვიქნები, ერთი სურვილი უნდა გამოვთქვა: აკაკი ბაქრაძემ კრიტიკა ოთარაანთ ქვრივს შეადარა და „პილპილმოყრილი მადლი“ უწოდა.

მარინე ტურავას კრიტიკულ წერილებში უხვად არის მადლი, მაგრამ შესამჩნევად ცოტაა პილპილი.



ისევ ილია უნდა მოვიხმო: „კრიტიკა არის განხილვა, განჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად. როცა რომელსაზე საგანს ფასს დასდებს კაცი, ჯერ იმის ღირსებას იტყვის (თუ აქვს ღირსება) და დაამტკიცებს, მერე ამბობს, ამოდენად ღირსო, ესე იგი, შინჯავს შეგნიდამ და გარედან საგანსა, ყოველს მის თვისებასა, არჩევს ცუდსა და კარგსა და მერე სწონავს მართალ სასწორზედ.“

მარინე ტურავა შესაშური დამაჯერებლობით წარმოაჩენს ნაწარმოების ღირსებას და თავის მისიას ამოწურულად მიიჩნევს...

არადა, ნაკლის მოძიებაც ხშირად აუცილებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახალგაზრდა ავტორის ნაწარმოებს ვაანალიზებთ.

მარინე ტურავამ ეს შესანიშნავად იცის.

და თუ „პილპილს“ არ იყენებს, ესეც სულის სილამაზიდან მომდინარეობს და კიდევ კრიტიკოსის მრწამსიდან, თავისი წიგნის წარდგინებაზე ასე რომ გამოხატა: „საჭიროა, კრიტიკამ მოიშოროს ის სტიგმა, რომელიც საბჭოთა ეპოქიდან მოსდევს. ახლა მთავარია, მკითხველი წიგნისაკენ მივაბრუნოთ.“

„გვახსოვდეს, აფხაზეთი!“

აფხაზეთის საჯარო სკოლებში გამართული კვირეულის მთავარი გზავნილი იყო



ანა ხალაიძე

27 სექტემბერს აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებით აფხაზეთის ცამეტივე საჯარო სკოლაში საგანმათლებლო-თემატური კვირეული „აფხაზეთის დღეები“ გაიმართა.

მოსწავლეებს კიდევ ერთხელ მიეწოდათ ინფორმაცია ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე და ომის შედეგებზე. ჩაუტარდათ შესაბამისი შინაარსის ლექციები, კონფერენციები, ღია გაკვეთილები: „აფხაზეთო, დაუვიწყარო“. კვირეულის ფარგლებში გაიმართა აფხაზეთიდან გადმოტანილი ნივთების გამოფენა; მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა „ჩვენი თვალით დანახული აფხაზეთი“; ასფალტზე ხატვა თემაზე - „ჩემი სახლი აფხაზეთში“, „ფიქრი აფხაზეთზე“, „მზიანი აფხაზეთი“ და ა. შ.; მომზადდა თემატური ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები: „აფხაზეთი და ჯვართამაღლება“, „მე მიყვარს აფხაზეთი“, „ჩვენ დავბრუნდებით“, „გამარჯვება, აფხაზეთო, შენი“ და სხვ.; გაიხსენეს საქართველოს ეროვნული გმირი



ჟიული შარტავა, გაეცნენ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას; მოეწყო აფხაზეთის თემაზე დაწერილი ესეებისა და ლექსების კითხვა და კონკურსი; გამოუშვეს კედლის გაზეთები; ჩატარდა სპორტული შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში, მინიფეხბურთში, კროსში და ა. შ. დევიზით – „ჩვენ ვძლიერდებით აფხაზეთისთვის“; რამდენიმე სკოლაში ქართული მხატვრული ფილმები „გაღმა ნაპირი“ და „მანდარინები“ უჩვენეს.

კვირეული მრავალფეროვანი და მრავალმხრივ საინტერესო იყო, მოსწავლეებმა სლაიდ-შოუების სახით წარმოადგინეს აფხაზეთის მონატრებული სანახები, თითოეული სკოლის მიერ ჩატარებულ კვირეულს რეფერენციით გასდევდა სიტყვები: „გვახსოვდეს აფხაზეთი“.

ჩემი ჯიანი 65

ბაქონო დიმიტრი!

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო ქართული თეატრი, თქვენი მშობლიური თეატრალური კოლექტივი სულითა და გულით გილოცავთ დაბადებიდან 65-ე წლისთავს.

სოხუმის თეატრთანაა დაკავშირებული მთელი თქვენი შემოქმედებითი ცხოვრება 1973 წლიდან, მას შემდეგ, რაც თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრეთ. სხვადასხვა დროს თეატრის მსახიობიც იყავით, ღირეჟორიც და სამხატვრო ხელმძღვანელიც. თქვენ წინამძღოლობდით თეატრს მისთვის უმძიმეს - დევნილობის წლებში. ამ პერიოდში ხელმძღვანელის შესაშური თვისებებიც გამოავლინეთ. იმაში, რომ დღეს სოხუმის თეატრი ჯვლავაც ღირსეულად აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას, დიდი წვლილი სწორედ თქვენ მიგიძღვით.

აღარაფერს ვამბობთ თქვენს საინტერესო და მრავალფეროვან სასცენო შემოქმედებაზე: მეფე გიორგი, ჰოკონ ჰოკონენი, ელიზბარ ერისთავი, ოთარ-ბეგი, კორიოლანი, ზურაბი, ლადო ასათიანი – რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. თქვენი შემოქმედება არა ერთი თეატრალური კრიტიკოსის მსჯელობისა და შეფასების ობიექტად ქცეულა. თქვენი ხელოვნება აღიარებულია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, სადაც სოხუმის თეატრს მრავალჯერ წარმოუდგენია თავისი სპექტაკლები გასტროლებსა თუ საერთაშორისო ფესტივალებზე.

ახლა ძალზე მნიშვნელოვანსა და საპასუხისმგებლო საქმეს შეეჭიდეთ - შექსპირის მეფე ღირს. ეს არა მარტო თქვენი, არამედ ყოველი ჩვენგანის, მთელი თეატრის თამამი განაცხადია. იმედი გვაქვს, ღირსეულად და წარმატებით დავაგვირგვინებთ ამ ჩანაფიქრსაც.

თქვენი კოლეგები, სასცენო პარტნიორები, სოხუმის თეატრის მთელი კოლექტივი გილოცავთ თქვენ - საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტს, სახელმწიფო, კოტე მარჯანიშვილის, გიორგი მარვაშიძისა და ვახტანგ გორგასლის პრემიების, არა ერთი თეატრალური ფესტივალის ლაურეატს, ღირსების ორდენისა და უკრაინის „პრესტიჟის“ ორდენის ჯავალერს, დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებებს, თქვენს მშობლიურ შემოქმედებით კოლექტივთან ერთად.

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის
სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი



საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტს, სახელმწიფო, კოტე მარჯანიშვილის, გიორგი მარვაშიძისა და ვახტანგ გორგასლის პრემიების, არა ერთი თეატრალური ფესტივალის ლაურეატს, ღირსების ორდენისა და უკრაინის „პრესტიჟის“ ორდენის ჯავალერს დიმიტრი ჯიანს დაბადებიდან 65 წელი მუსიკალა.

ჩვენ თანამებრძოლებიც ვიყავით

ჩემი და დიმა ჯაიანის გზები სოხუმის თეატრში გადაიკვეთა. დიმა ჩემი თანამებრძოლი იყო არა მხოლოდ შემოქმედებით, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ჩვენ სოხუმში ძალიან რთულ პერიოდში მოგვინია ყოფნამ, მუშაობამ, მაგრამ ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო, გვექონოდა ცოცხალი თეატრი და ამით გვეთქვა ჩვენი სათქმელი. ვამბობდით კიდევ!

სოხუმში ძალიან ბევრი სპექტაკლი დავდგით და დიმა ჯაიანი დაკავებული იყო თითქმის ყველა წარმოდგენაში და თითქმის ყველგან მთავარ როლს ასრულებდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის არსებობას სოხუმის თეატრში. მისი შემოქმედებითი პალიტრა იყო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი „დიდოსტატის მარჯვენაში“ თუ „ბრძოლა ტახტისათვის“; სპექტაკლში „ვაცხადებ დახურულად“ სახასიათო როლს თამაშობდა, ბევრი გააკეთა გორკის „ფსკერზე“ და ჩეხოვის „თოლიაში“... ყველგან თავისი ხასიათი ჰქონდა, თვისი ტკივილი და სევდა მიჰქონდა მაყურებელამდე. მისი განსაკუთრებულობა დასტურდებოდა გასტროლების დროსაც. შეუცვლელი ლიდერი იყო, მისი გვარ-სახელი - დიმა ჯაიანი ყველგან იცოდნენ, რუსულ თეატრში, მით უმეტეს.

როგორც უკვე ვთქვი, თითქმის ყველგან მთავარ როლს ასრულებდა, ამ დროს ჩემს მიერ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით დადგმულ სპექტაკლში. დიმა დაკავებული იყო მხოლოდ მასობრივ სცენებში, წარმოადგენდა ერთ-ერთ მოცეკვავე ბოშას. თუმცა მან ეს კი არ იუკადრისა, არამედ ჩვეული პორფესიონალიზმით, დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ პატარა როლს და მთლიანად იხარჯებოდა მისი შესრულებისას, ნამდვილ ბოშასავით ცეკვავდა.

ასევე ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონში“ დიმა ასრულებდა ამბოკაძის როლს. ის იყო ქურდი, რომელიც ცდილობდა ცხოვრების შემოტრიალებას. არც ეს წარმოადგენდა დიდ როლს, მაგრამ ისე თამაშობდა, რომ მაყურებელი სცენიდან ყოველთვის ტაშით აცილებდა. ეს მისი ხასიათია. ასეთია დიმა ჯაიანი და რაში გამოიხატება მისი ხასიათი, თვისებები, რომელიც ამ ხასიათს ქმნის?

დიმა ჯაიანი პატრიოტია, ნამდვილი პატრიოტი და რასაც ამ თვალსაზრისით აკეთებს, ზედაპირული კი არ არის, არამედ მისი შინაგანი განწყობის გულწრფელი გამოხატულებაა.

დიმას მხრებზე გადაიარა აფხაზეთის ომის ქარცეცხლმა, ჭუბერის გზამ.

აუცილებელია, ერთიცი ითქვას, არ მახსოვს დიმა გამოსულიყოს სადმე და აუგად ესხნენბინოს აფხაზები, ყოველთვის მათთან შერიგებაზე, საერთო ენის გამონახვაზე ლაპარაკობდა. ცდილობდა, თავიდან აგვეცილებინა სისხლისღვრა და არ მესმის, მაინც რატომ ფიქრობდნენ აფხაზები, რომ დიმა მათი დაუძინებელი მტერი იყო.

ის ძალიან კარგი პროფესიონალია, კარგი არტისტი, თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა პოეზიასაც, ლექსის კარგი წამკითხველია, რაც იშვიათი მოვლენაა და მხოლოდ თითო-ოროლა მსახიობს გამოსდის.

დიმა ძალიან კარგი პარტნიორიცაა, შენიშვნებსაც იღებს და ითვალისწინებს. ჩვენ ხშირად ვიყავით პარტნიორები, მათ შორის „ვენეციულ ვაჭარში“, შემდეგ „დიდოსტატის მარჯვენაში“ (ამ სპექტაკლში მოგვიანებით შევედი)...

ამასთანავე, დიმა მომხიბლველი კაცია, კარგი პიროვნებაა, კარგი მეგობარი და ჭირისუფალი. ჭირისუფალს იმიტომ ვამბობ, რომ ბევრი მეგობარი დაეკარგეთ დ გულთან ახლოს მიიტანა თითოეული მათგანის ამ ქვეყნიდან წასვლა. ყოველივე ეს ამშვენებს კიდევ.

ჩვენ უკვე რამდენი წელია მეგობრები ვართ და არ მახსოვს დიმასგან რამე წყენა ჩამრჩენოდეს გულში, შეიძლება ვიკამათოთ კიდევ, მაგრამ ის ამას ყურადღებას არ აქცევს.

როცა დიმას როლებზე საუბრობ, არ შეიძლება არ ახსენო მისი ზურაბი სპექტაკლში – „ზღვა რომელიც შორია“. დიმა ამ როლს კარგად თამაშობს და იმიტომაც, რომ კარგად იცის, რა ჩაიფიქრეს სპექტაკლის რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ და პიესის ავტორმა გურამ ოდიშარიამ, რა ჩაიფიქრა თვითონ მან როგორც თეატრის ხელმძღვანელმა და მსახიობმა.

დიმა ამჟამად აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრია. მას უაღრესად საპასუხისმგებლო თანამდებობა უჭირავს. სოხუმის თეატრს ახლა უკვე გარედან ეხმარება. თუმცა ის მალე ამ თეატრში გოჩა კაპანაძის მიერ დადგმულ სპექტაკლში მეფე ლორს ითამაშებს. სხვათა შორის, როცა ამ საკითხზე ვსაუბრობდით, მე მას ვუთხარი, შენ იმ ასაკში ხარ, რომ ეს როლი უნდა შეასრულო, გამოგივა-მეთქი.

გოჩა კაპანაძე კარგი რეჟისორია, რასაც დგამს, ყველაფერს საინტერესოდ დგამს. ვფიქრობ, მისი და დიმას ტანდები კარგად „გაისვრის“.

გოგი ქავთარაძე



შექსპირი, „კორიოლანოსი“

მე მიყვარს დიმა ჯაიანი

ათი წლით უფროსი ვარ დიმა ჯაიანზე. უფრო ადრე ჩავედი სოხუმში, უფრო ადრე დავინყე მწერლობაზე ფიქრი.

ჩემი პირველი პიესა „მთვარის საათი“ 1972 წელს დაიდგა ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

„მთვარის საათს“ „ადგილის დედა“ მოჰყვა.

მალე აფხაზეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარედ ამირჩიეს. მე უკვე ყოველდღიური ურთიერთობა მქონდა როგორც ქართულ, ისე აფხაზურ თეატრალურ დასთან.



გენო კალანდია, დიმა ჯაიანი და ჭაბუა ამირეჯიბი

ამ დროს გამობრწყინდა სოხუმის დრამატული თეატრის სცენაზე ფაზისის ლერწამივით ტანაყრილი, ლურჯთვალეა ჭაბუკი დიმა ჯაიანი.

ბედნიერი დრო იყო, ლამაზი დრო. ქართველები და აფხაზები ყველა პრემიერას ერთად ავლნიშნავდით, ერთად ვიყავით.

დიმამ უცებ მიიქცია თეატრის მოყვარულთა ინტერესი და ყურადღება. მეც არ დავახანე და სსრკ სახალხო არტისტის მიხეილ ჩუბინიძის შემდეგ, საქართველოს ტელევიზიით ერთ საათიანი გადაცემა მოვამზადე ახალგაზრდა მსახიობზე. აფხაზეთის თეატრალური საზოგადოება დიდხანს იხსენებდა ამ გადაცემას.

დიმა ჯაიანი დღითიდღე იზრდებოდა როგორც შემოქმედი და მსახიობი. ძალიან ბევრი დამფასებელი და თაყვინისმცემელი ჰყავდა.

როცა ეროვნული მოძრაობა ქართველი კაცის სულსა და გულში ზვირთივით შემრიალდა და აბოხოქრდა, დიმა ჯაიანი ბარიკადებზე დადგა.

როცა ქართველებსა და აფხაზებს შორის მთავარი ხიდი ჩატყდა, დიმა ჯაიანი, თავის ერთადერთ შვილთან - ჯაბასთან ერთად, ყოველდღე ფრონტის ხაზზე გადიოდა.

როცა სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობების ერთი ნაწილი ომში დაიღუპა, დიმა ჯაიანი ამ ბიჭებს ჭირისუფლად დაუდგა.

დიმა საერო კაცია.

დიმა მთელ საქართველოს უყვარს.

დიმა ჯაიანს მეთექვსმეტე საუკუნიდან საგვარეულო მამულები აქვს აფხაზეთში, კერძოდ ჭლოშში.

დიმა ჯაიანი გვანჯი ჩიქოვანის გზაზე მავალი კაცია, ასეთი კაცები იშვიათად იბადებიან მე და დიმამ ერთმენთის ბედი გაეზიარეთ. 1993 წლის 27 სექტემბრის ინფორმაციით, საკავშირო ტელევიზიამ აფხაზი სეპარატისტების მიერ დახოცოლებად გამოგაცხადა. ზუგდიდსა და სენაკში გამოგვიგლოვებს... მაგრამ გადავჩრით.

მე, ღრმად მწამს და მჯერა, რომ იმ ზურმუხტისფერ ჭლოუს, სრულიად აფხაზეთს, უფლის განგებით, ხვალ-ზეგ შერვაშიძეებთან, ემხვარებთან, მარლანიებთან, მარშანიებთან, ანჩაბაძეებთან ერთად დავუბრუნდებით.

მე მიყვარს დიმა ჯაიანი!

ღმერთი იყოს მისი მფარველი!

გენო კალანდია

ჩემი დიმა!

ჩემი უმცროსო ძმაო და მეგობარო!

რა დრო გასულა, ბიჭო?!... შენი ჩამოსვლა სოხუმის თეატრში დღევანდელ დღესავით მახსოვს... მომხიბვლელი გარეგნობის მქონე, ამაყი თავადი წარსდექი დასის წინაშე (როგორც შემდეგ გაირკვა - ნიჭიერიც). ყველა მოიხიბლა. ამ დღიდან ჩვენს თეატრს ერთგულად ემსახურები, მისთვის არასოდეს გიღალატია. უამრავი როლი შეგისრულებია ბრწყინვალედ. ხშირად პარტნიორები ვიყავით. არაჩვეულებრივი პარტნიორი ხარ, რასაც დიდად ვაფასებ მსახიობში, უდიდესი პროფესიონალი.

შენ ცხოვრებაში ყოველთვის ლალი, თავისუფალი და დამოუკიდებელი ხარ, მაგრამ თეატრში - იქნება ეს რეჟიტორია თუ სპექტაკლი, მეტად მოწესრიგებული, მორჩილი და თეატრის შინაგანანესის ერთგული დამცველი.

მსახიობს ნიჭის გარდა, სასურველია კარგი პიროვნული თვისებები ჰქონდეს. შენ სწორედ ასეთი ადამიანი ხარ. ნიჭის პარალელურად, არაჩვეულებრივი პიროვნული თვისებების მატარებელი კაცი ხარ. კაცი - ამ სიტყვის სრული გაგებით. ვაჟკაცი - თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული და მეგობარი - მეგობრობისთვის თავდადებული.

მინდა, შემოქმედებითი წარმატებები გისურვო, ჯანმრთელობა და დიდი ბედნიერება. რაც მთავარია, მე თუ არა, შენ მაინც მოსწრებოდე სოხუმში დაბრუნებას.

ჯგერო ზოჯუნდა.

სერგო პაჭკორია

ქარიზმაცული მსახიობი

დღმა ჯაიანთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს, მაგრამ საუბარს ჩვენი ურთიერთობის უფრო გვიანდელი ეპიზოდიდან დავიწყებ.

2004 წელს, როდესაც მე ბათუმიდან თბილისში გადმოვედი (ერთხანს იქ ვმუშაობდი ოპერის თეატრსა და ხელოვნების ინსტიტუტში), თითქმის ათმა თეატრმა შემომთავაზა სპექტაკლის დადგმა. მათ რიცხვში იყო დიმა ჯაიანიც. მე ამ თეატრებიდან სოხუმის თეატრთან, დიმა ჯაიანთან თანამშრომლობა ვარჩიე, რითაც დღესაც ვამაყობ. სოხუმის თეატრი დაჩაგრული იყო იმ მხრივ, რომ საოცარი ამბავი, წრეგადასული უსამართლობა მოხდა: ეს ადამიანები მშობლიური სახლებიდან გამოყარეს. დიმა ჯაიანი იყო ის პიროვნება, რომელიც სათავეში ედგა სოხუმის თეატრს, რაინდული ბუნების, პატიოსანი, თეატრზე შეყვარებული, და რაც მთავარია, უზადო ნიჭიერებითა და ტემპერამენტით დაჯილდოებული კაცი. სოხუმის თეატრს შენობა არ ჰქონდა, მაგრამ თეატრი შენობა კი არ არის მარტო, არამედ არის ადამიანების ერთობლიობა, შემოქმედი სული, რომელიც იქ ბუდობს. ამ სულის გამო მივედი სოხუმის თეატრში და დავდგი ედვარდ რაძინსკის „ქალი ყვავილით“ (პიესა ჩვენ გადმოვაქართულეთ). სპექტაკლში დიმა ჯაიანი თამაშობდა რეციდივისტის, ქურდის როლს. და ეს იყო საოცარი მომზიბველობის, უზადო ტემპერამენტის მნიშვნელოვანი ფიგურა. საერთოდაც, დიმა ჯაიანი ძალიან ქარიზმატული მსახიობია. ქარიზმატული ადამიანი ბევრია, მაგრამ ქარიზმატული მსახიობი ცოტა. ის მაყურებლის ყურადღების ცენტრში ექცევა სცენაზე გამოჩენისთანავე, ერთგვარი მიზიდულობის ძალით, ქარიზმითა თუ აქტიორული მომზიბველობით. იმპოზანტურია, არისტოკრატიული, მეტყველების თავისებური მანერით, იშვიათი გარეგნობით.

რაც შეეხება ჩვენი ურთიერთობის დასაწყისს, ეს სოხუმში შედგა იმ პერიოდში, როცა მშობლიური თეატრიდან გამოაძევეს ქართული დასი. ქუჩაში დარჩენილ თეატრს ახალი შენობა მისცეს. მაშინ გოგი ქავთარაძემ პირველი სპექტაკლის „მარადისობის კანონის“ დასადგმელად დამპატივა. დავიწყეთ მუშაობა. თავიდან დიმა არ ჩანდა სპექტაკლში, მერე გამოჩნდა (დიმას ინსტიტუტიდან ვიცნობდი როგორც კარგ ბიჭსა და კარგ მსახიობს, ჩვენი სტუდენტი იყო). სპექტაკლში დიმას გარდა, მთელი დასი მონაწილეობდა. და იცით, რა მოხდა რეპეტიციებზე? ვგრძნობდით, რომ რაღაც აკლდა სპექტაკლს და ეს „რაღაც“ აღმოჩნდა დიმა ჯაიანი, მის მიერ შესრულებული ამბოკაძის როლი. სახე, რომელიც ნაწარ-



ედვარდ რაძინსკი, „ქალი ყვავილით“

მოებში არსებობდა, მაგრამ თავიდან სცენაზე არ გადმოვიტანეთ. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები ისეთია, რომ შეიძლება რაღაც ამოიღო და ამით არ დაირღვეს ძირითადი ქსოვილი. ამჯერად კი გამოვიდა ისე, რომ ამ როლის არარსებობით წარმოდგენას ერთი მნიშვნელოვანი ფერი დააკლდა და ეს ფერი დიმა ჯაიანის როლმა შეავსო. დიმას შემოსვლას ტაშით ეგებებოდა მაყურებელი და როცა ის გადიოდა სცენიდან, ასევე აჯილდოვებდა ტაშით, რომელსაც თავისი აქტიორობით იმსახურებდა. ეს გაცილებით ფასეული, ძლიერი და შთამბეჭდავი ტაში იყო.

შემდეგი ჩემი ნამუშევარი დიმასთან ერთად იყო ტიტე ნატუტარი. ეს როლი ზღვარს გადასული გროტესკული საშუალებებით იქნა შესრულებული. ვის ჰგავდა ტიტე ნატუტარი? ის ირგვლივ ყველას ჰგავდა. ის ხომ ჩვეულებრივი ყვარყვარა. საერთოდ, ამ პიესაში ყვარყვარეს გარშემო ყველანი ყვარყვარეები არიან. ვერ იტყვი, რომ ეს კაცი არის მთავრობის რომელიღაც ხელმძღვანელი, არა, ის ყველას კრებითი სახე იყო და დიმა ჯაიანის მიერ შესრულებულმა ფსევდოზემების ორგანიზატორის როლმა საზეიმო ელფერი შესძინა სპექტაკლს.

სულ ბოლოს ვნახე მისი ნამუშევარი ოთარ თავაძის მიხეილის ოპერის „მთვარის მოტაცების“ საიუბილეო საღამოზე. ის ორკესტრის თანხლებით, ძალიან ადამიანურად კითხულობდა ნაწყევტს „მთვარის მოტაცებიდან“. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა მისი ორატორული ხელოვნება. საერთოდაც, დიმა ჯაიანი ძალიან კარგი მკითხველია, მის მიერ ნაკითხული ლექსები შთაბერავენ სიმხნევას, ოპტიმიზმს, ლირიზმს, სინაზეს.

და ბოლოს, სოხუმის თეატრს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საკუთარი შენობა, რომელშიც უნდა ჩამოიკიდოს კონსტანტინე გამსახურდიას უზარმაზარი სურათი, რომელიც მე დიმა ჯაიანს ვაჩუქე. ვისურვებდი, რომ ამ სურათს მისი კაბინეტი სოხუმშიც დაემშვენებინოს.

გიზო ჟორდანი

მასთან სოხუმში სცუმრობას არაფერი სჯობდა

დიმიტრი ჯაიანი სოხუმში გავიცანი. ის იქ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მასთან სტუმრობას არაფერი სჯობდა. მას უყვარდა ჩვენი ანსამბლი „რუსთავი“, ჩვენ გვიყვარდა მისი აფხაზეთი და სოხუმის თეატრი. აფხაზეთში მომხდარი მოვლენების გახსენება ამ ვითარებაში არ მსურს. მხოლოდ ერთს ვიტყვი, არავის დაავიწყდება დიმიტრი ჯაიანის მიერ იმ დღეებში გამოჩენილი გმირული საქციელი.

დიმიტრი ჯაიანი არის ჩემი მეგობარი. ის არაჩვეულებრივი პიროვნებაა, დიდი მსახიობი და დიდი ადამიანი. სულ მეპატიჟება თავის სპექტაკლებზე და დღემდე თვალს ვადევნებ მის შემოქმედებას. რამდენიმე როლში მყავს ნანახი და ყველა მომწონს. მისი პიროვნება და მისი შემოქმედება, შეიძლება ითქვას, რომ მისი მოღვაწეობის პირდაპირპროპორციულია.

ანზორ ერქომაიშვილი

ნაღდი ყაცი

დიმა ჯაიანთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. ყოველთვის თბილი და ტკბილი ურთიერთობა გვქონდა. ერთმანეთი სოხუმში გავიცანით. თბილისის „დინამოს“ ხშირად ჰქონდა წვრთნები სოხუმში, გაგრასა და ლესელიძეში. ბატონი დიმა ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი იყო. მე მას პატივს ცეცმდი როგორც პიროვნებას და როგორც დიდ მსახიობს. შემდეგ ჩვენი მეგობრობა თბილისში გაგრძელდა. ხშირად ვესწრებოდი მის სპექტაკლებს. ჩემი 70 წლის იუბილეზე ჩემი სუფრის თამადა იყო. ის არის ნაღდი კაცი, თავის საქმის პროფესიონალი და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი ადამიანები. რაც მეტნი იქნებოდა დიმასნაირები, მით უკეთესი ჩვენთვის. მე მას ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და სცენაზე დიდხანს დგომას ვუსურვებ.

მურთაზ ხურცილა

დიმა. ძვირფასო!

ახლა საჯაროდ გეტყვი, იმას, რასაც ყოველთვის გეუბნებოდი, როცა ვისხედით იმ სუფრებთან, რომლებიც, საუბედუროდ, იმ შემადგენლობით, ვაი, რომ აღარ განმეორდება.

უმცროსი ძმა ხარ და ამიტომ ხშირად გეჯიჯლინებოდი კიდეც, მაგრამ კარგად იცი, როგორ მიყვარხარ!

ბედი უმადური გამოდგა შენს მიმართ, მაგრამ ვერ გაგტეხა, ვერ გაგაბოროტა!

ხან მკვლელის დაღით დაშანთვა დაგიბირეს, ხან დასი აგიბუნტეს, რომელსაც კაცურად პატრონობდი და უძლოდი, მაგრამ ვერ გაგლუნეს და შენ ისევ ის დიმა ჯაიანი ხარ, რომელიც უყვარს ქართველ ხალხსა და მაყურებელს, რომელმაც იცის რამხელა ტკივილს ატარებ, რითი ცოცხლობ, რა გასულდგმულებს! დიდმა ებრაელმა ჰაინემ, ერთხელ ჯიბიდან ბიბლია ამოიღო და მსოფლიოს განუცხადა: - ეს არის ჩემი სამშობლო, რომელიც სულ თან დამაქვსო!

შენ რომ ვინმემ გული ამოგგლიჯოს და ხატის წინ დადოს, მასზე დიდი ასოებით იქნება ამოტვიფრული ერთადერთი სიტყვა: - „აფხაზეთი“!

ასე დაგაქვს შენ შენი სამშობლო თან ყველგან და ყოველთვის შენი ხალხისა და საქართველოს ერთგულებასა და სამსახრუში!

მიყვარხარ, ძმაო! შენი ნიჭის, შენი კაცობის, შენი ქართველობის და იმის გამოც, უფროს-უმცროსი რომ იცი და ოჯახში რომ ხარ გაზრდილი!

აბა, თავადო!

იომე ბოლომდე!

იომე იმიტომ, რომ კაცი უომრად ისევე არ ვარგა, როგორც საქართველო უაფხაზეთოდ!

რეზო ამაშუკელი

რა დრო გასულა!

ჩემო დიმა, მოულოდნელი ამბავი იყო, როცა გავიგე, სამოცდახუთი წელი შეგსრულებია.

რა დრო გასულა!

ქართველებს განსაკუთრებული გენიალური ფრაზა გვაქვს - „წუთისოფელი“!....

ყველაფერს იტევს ერთი ფრაზა. თითქოს გუშინ იყო, ჩემო დიმა, როცა სტუდენტი იყავი, ვამაყობ, რომ იყავი ჩემი სტუდენტი.

მასხოვს, პირველივე ლექციაზე ყველა სტუდენტს გამოვკითხე, ვინ სად აპირებდა სამუშაოდ წასვლას. შენ თქვი, - სოხუმშიო, იმ მხარის კაცი ვარო...

ნახევრი და დიდი როლიც შეასრულე სოხუმის თეატრის ცხოვრებაში.

შენი როლი განისაზღვრა არა როგორც წარმატებული მსახიობისა, არამედ უფრო ფართო მასშტაბში - მსახიობი და მოღვაწე, რომელსაც თეატრის გადარჩენის ფუნქციაც დაეკისრა.

დედაქალაქში, სადაც ათასგვარი თეატრალური პროცესები ხდება, ლტოლვილთა თეატრისათვის ადგილი არ იყო საკუთარი ადგილის დამკვიდრება, უნდა მოენახა თავისი ადგილი.

მონახა კიდეც!...

დიმა ჯაიანი ყოველთვის გამოირჩეოდა, ძლიერი, ენერგიული და ზეანეული გრძნობის თეატრალური სტილით.

ასეთ სტილს გენიალური სანდრო ახმეტელი გმირულ, რაინდულ-რომანტიკულ სტილს უწოდებდა.

მე მგონია, რომ არ ვაჭარბებ, - შენ სანდრო ახმეტელის რაინდულ-რომანტიკული თეატრის მსახიობი ხარ და მისი ადევკატურია შენი არტისტული პროფილიც და მოქალაქეობრივი შემართებაც.

რამდენი სიხარული განმიცდია, როცა ვისხენებ შენს მიერ განსახიერებულ გმირებს. სპექტაკლის წარმატებაში ყოველ მსახიობს თავისი წვლილი შეაქვს. ასეთია თეატრის ბუნება, მაგრამ ყოველთვის თანაბარი არ არის წვლილი.

გამორჩეულთა ხვედრია სპექტაკლის დიდი ტვირთის ზიდვა. შენ ვაჟკაცურად, ქედუხრელად ზიდე სოხუმის თეატრის დიდი ტვირთი. მნიშვნელოვანი პერიოდის ურთულეს სიტუაციებში გონიერად ზიდე იგი. ლოგიკურია, რომ დიდი ხანია სწორედ შენ უდგებარ სათავეში სოხუმის თეატრსაც და აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებასაც, როგორც სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე.

როცა დიმა ჯაიანზე ვწერ თუ ვსაუბრობ, ყოვეთვის მაგონდება ერთ-ერთი სამინელი დღე: აფხაზეთისათვის რუსეთ-საქართველოს ომის დროს თბილისში ელვის სისწრაფით გავრცელდა ჭორი (ელვის სისწრაფე ჭორის თვისებაა!) - დიმა დაიღუპაო. მასხოვს ხალხის საოცარი ტკივილიანი რეაქცია. მაშინ გამოჩნდა ხალხის დიდი სიყვარული.

არ გაგიკვირდეს - ჭორი ღირდა ამ სიყვარულის გამოსავლენად...

ჩემი ხანგრძლივი პროფესიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის განმავლობაში, ქართულ თეატრში რა არ მინახავს. სამოცი წელია ვუყურებ თბილისის, სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების თეატრების სპექტაკლებს. მოგონებებში, როგორც დაბურულ ნისლში, აქა-იქ წამოიმართება ხოლმე სპექტაკლებისა და სახეების სილუეტები. ისინი ემოციურად აღიბეჭდა ხსოვნაში. არ შეიძლება არ გამახსენდეს ტიტე ნატუტარის სახე გ. ფორდანიას შესანიშნავ სპექტაკლში პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“.

შენი გმირი დიდი მასშტაბური სახე იყო ყვარყვარეებით დასახლებულ ქვეყანაში (ასე მოიაზრებდა რეჟისორი სპექტაკლს), განზოგადოებული ტიპი აღმოჩნდა - ნატუტარის სახე.

დიმა ჯაიანი შესანიშნავად გრძნობს რიტმის, პლასტიკური ფესტის ხელოვნებას. როცა მისი გმირი (ნ. დუმბაძის „ბოშები“) იწყებდა ცეკვას, თითქოს მთელი წარმოდგენა ცეკვავდა, სცენაზე თითქოს ყველაფერი რიტმულად მოძრაობდა, ყველაფერს ეუფლებოდა ხალისიანი განწყობა.

ზემოთ აღვნიშნე ნატუტარის გროტესკული სახის დიდი არტისტული აზრით შესრულება, მაგრამ ეს გამოყოფა პირობითია. დიმა ჯაიანის შემოქმედებაში წარმატებულ სახეთა მთელი გაღერება სპექტაკლებში: კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, პ. იბსენის „ბრძოლა ტახტისათვის“, გ. ბათიაშვილის „1832“, ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“ მ. გორკის „ფსკერზე“, გ. ოდიშარიას „ზღვა, რომელიც შორია“ და მრავალი სხვა.

დიდი სევდით ვუყურებდი სპექტაკლს, რომელიც ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონცეპტუალურ გადაწყვეტას იძლეოდა.

საქართველოს სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიის, მარჯანიშვილის გ. შარვაშიძის პრემიების ლაურეატს დიმა ჯაიანს დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა. თითქოს დიდი არ არის წელთა სიმრავლე, მაგრამ კაცურ კაცურად განვლილი ურთულესი გზა დიდიც არის და სახელოვანიც.

ვასილ კიკნაძე



ვლადიმერ ნაბოკოვი, „ემიგრანტები“

ღანახის ნიჭით გამოჩნეული

მე და დიმა ერთი თაობა ვართ. მე ის გავიცანი მაშინ, როდესაც სოხუმის თეატრში დაიწყო მოღვაწეობა. ნიჭიერი კაცი იყო და ძალიან მალე გახდა პოპულარული. ამავე დროს ძალიან ნაკითხი იყო და უყვარდა ლიტერატურა. ამან განაპირობა ჩვენი ახლო მეგობრობაც. მასსოვს, ჩვენი შეხვედრების ადგილი იყო კაფე „ამრა“, სადაც ვიკრიბებოდით აფხაზებიც, ქართველებიც, ბერძნებიც, საერთოდ, აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანები. სამწუხაროდ, ეს ადგილი ახლა ამ ფუნქციას ვერ ასრულებს.

მე და დიმა გვექონდა იდეა, აფხაზეთის შესახებ სპექტაკლი გაგვეკეთებინა. სწორედ მან დამაკავშირა დიდ რეჟისორს თემურ ჩხეიძეს. მაშინ ის სანკტ-პეტერბურგის თეატრში მოღვაწეობდა. გადაწყდა, სცენარი ჩემი მოთხოვნების მიხედვით დანერგილიყო. ბატონი თემური ჩამოვიდა თბილისში, მე დავინყე სცენარზე მუშაობა. რეჟისორმა თავისი შესწორებები შეიტანა და საბოლოოდ ასე შეიქმნა შემდეგ უკვე ცნობილი სპექტაკლის „ზღვა, რომელიც შორია“ სცენარი. სპექტაკლი „სამეფო უბნის თეატრში“ დაიდგა და მასში მთავარი როლი დიმიტრი ჯაიანმა ბრწყინვალედ შეასრულა. სპექტაკლს ისეთი გამომხაურება მოჰყვა და ისეთი პოპულარული იყო, მაყურებელი სპექტაკლის შემდეგ დარბაზიდან არ გადიოდა. ადამიანები ჩვენგან,



გურამ ოდიშარია, „ზღვა, რომელიც შორია“

ავტორებისგან ითხოვდნენ პასუხს უამრავ კითხვაზე. ამ საუბრებისას დიმიტრი სულ ამბობდა: - მე ამ სპექტაკლმა შემცვალა, შეიცვალა ჩემი დამოკიდებულება კონფლიქტის მოგვარებისადმი, უფრო შემწყნარებელი, გამგები, მიმტევებელი გავხდი. ის აფხაზებს ყოველთვის პატივს სცემდა, მაგრამ ამ სპექტაკლის შემდეგ კიდევ უფრო გაუმძაფრდა ეს გრძნობა. ეს სპექტაკლი გადავიღეთ კიდეც და მისი ციფრული ვერსია აფხაზეთშიც გადავიდა. მას სოხუმის უნივერსიტეტშიც უჩვენებდნენ ახალგაზრდებს...

დიმას 65 წელი შეუსრულდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მან ჩემს კიდევ რამდენიმე სპექტაკლსა და ფილმში უნდა ითამაშოს.

ბოლოს კი, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო მისი ერთი საოცარი ადამიანური თვისება. მას აქვს უნარი, ნებისმიერი ადამიანი საუკეთესო მხრიდან დაინახოს და მისი ეს თვისება საჯაროდ აღნიშნოს, ამით მხარში დაუდგეს. ჩვენ დღემდე ამგვარი თანადგომით მოვდივართ.

გურამ ოდიშარია

მას ჩემი თაობის ადამიანად მივიჩნევ

ბატონ დიმიტრი ჯაიანს, ფაქტობრივად, ბავშვობიდან ვიცნობ. სოხუმში მასთან ხშირად ჩავდიოდით მე და ბექა ქავთარაძე (სოხუმის თეატრის მაშინდელი სამხატვრო ხელმძღვანლის გოგი ქავთარაძის შვილი).

სოხუმის თეატრი ყოველთვის გამორჩეული იყო საინტერესო და მრავალფეროვანი რეპერტუარითა და შემოქმედებითი დონით. ამ თეატრის სცენაზე 90-იან წლებში დავედგი სპექტაკლი „ვინრო ბილიკი ჩრდილოეთისკენ“, სადაც ბატონმა დიმამ პატარა როლი ითამაშა. აქედან დაიწყო ჩვენი შემოქმედებითი მეგობრობაც. მართალია, დღეს ის 65 წლისაა, მაგრამ მე მას ჩემს თანამოაზრედ და ჩემი თაობის ადამიანად მივიჩნევ. სოხუმის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად ბატონმა დიმამ მიმიყვანა. მან მითხრა, დამიდექი გვერდში, შენ ახლა სჭირდება სოხუმის თეატრსო. სოხუმის თეატრი დიდი ტრადიციების მქონე თეატრია. ამდენად, ეს ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, ნდობის გამოცხადება, რისთვისაც მე მას განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით.

მნიშვნელოვანია ბატონი დიმა საზოგადოებრივი მოღვაწეობაც. განსაკუთრებით დასაფასებელია ომის დროს მისი ვაჟკაცობა. სოხუმის თეატრს ყველაზე მეტად რომ უჭირდა, მან ის მხარზე მოიკიდა და ასე ზიდა... ამ თვალსაზრისით დღესაც საინტერესო საქმიანობას ეწევა, მაგრამ ეს ჩემს გარეშეც ბევრმა იცის. ამიტომ მე მას, როგორც რეჟისორი მსახიობს, ისე შევაფასებ და ვიტყვი, რომ მისი ნიჭი, ოსტატობა და გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი თეატრალური ცხოვრებისთვის. ძალიან ბევრი როლი მასსოვს მისი შესრულებით. ალბათ, 50 მეფე მაინც უთამაშია. ყველა სპექტაკლში მთავარი როლი ჰქონდა, მაგრამ „დიდოსტატის მარჯვენაში“ მისი მეფე გიორგი გამორჩეულია. ამ როლზე მისი ტექსტები ქრესტომათიულ მაგალითებადაა ქცეული. ეს კაცი მსახიობადაა დაბადებული და ძალიან მინდა დაუფასდეს ღვაწლი და შრომა.

ახლახან ჩვენთან, თეატრში მოვიწვიეთ რეჟისორი გორა კაპანაძე, რომელმაც შექსპირის „მეფე ლირი“ უნდა დადგას. მთავარი როლი ბატონმა დიმიტრმა უნდა შეასრულოს. ეს ჩვენი გრანდიოზული ჩანაფიქრია. ბატონი დიმა ახლა იმ ასაკშია, რომ მას ეს როლი ცხოვრებისეული გამოცდილებითაც და სამსახიობო ოსტატობის თვალსაზრისითაც ძალიან მოუხდება. წლეულს ხომ ბატონი დიმა 65 წლისთავთან ერთად სოხუმის თეატრის 130 წლისთავიც არის. ამ სპექტაკლსაც ამ თარიღებს ვუძღვნი.

დავით საყვარელიძე

დაუშრეცელი ენერგიით საღეს...

გოგი ქავთარაძემ სოხუმის თეატრში ჩემი პიესა „1832 წელი“ დადგა. ჩინებული სპექტაკლი იყო - ძლიერი, ძარღვიანი. დიმა ჯაიანი ამ სპექტაკლში საუკეთესო იყო, მამაკაცურიც და ძლიერიც. თავისი დაუშრეტელი ენერგიით და მგზნებარე ტემპერამენტით წარმოსახავდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ელიზბარ ერისთავის ძლიერ პიროვნებას. სპექტაკლის ეროვნული სულისკვეთების გამო ოფიციალური დამოკიდებულება „1832 წლისადმი“ ნეგატიური იყო.

და აი, ამ ჩინებულმა შემსრულებელმა - დიმა ჯაიანმა - ერთხელ ლამის დიდ ხიფათს გადაგვიკიდა. 1983 წელს სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. თეატრი საგასტროლოდ თბილისს ჩამოვიდა. სპექტაკლებს კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარეს“, ჩემს „1832 წელს“ და სხვ. კოტე მარჯანიშვილის თეატრში თამაშობდნენ. ამ წელს საქართველოში ზემოთ აღინიშნებოდა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი, დიდი სამზადისი გახლდათ გაჩაღებული. ჩემი პიესა კი ცარისტული რუსეთის წინააღმდეგ დიდებულ ქართველ ვაჟკაცთა შეთქმულებას ეძღვნებოდა. დღესასწაულის წინ ამ სპექტაკლის თბილისში ჩვენება, პარადოქსიც იყო და დიდი გაბედულებაც. ამიტომ ერთობ არ მესიამოვნა, როცა სპექტაკლის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მარჯვენა ფოიედან დარბაზში შემოვიდნენ და გასასვლელ რიგში დასხდნენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მდივანი და კულტურის განყოფილების თანამშრომლები. კულისებში გავვარდი და გოგი ქავთარაძეს ვუთხარი, ასეთი ამბავია-მეთქი. გოგი დაფიქრდა და დიმა ჯაიანს უხმო. სპექტაკლში დიმა ჯაიანის ელიზბარ ერისთავი ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორთან ნიკოლოზ ფალავანდიშვილთან კამათისას მთელი გზნებით წარმოსთქვამდა ასეთ რეპლიკას: ოღონდ რუსის ჯარი საქართველოდან გავიდეს და დარიალის კარამდე სულ დაფა-ზურნით მივაცილებ, არც ცხელ, შიშხინა მწვადებს მოვაკლებო. ქავთარაძემ დიმას უთხრა ეს რეპლიკა მინორულად, ისე წარმოეთქვა, ხალხს ვერც გაეგო.

დაიწყო სპექტაკლი. გულის კანკალით ველოდი დიმას იმ რეპლიკას, ცხადია, მენდა დღეს არც დიმა და არც მაყურებელს ამ რეპლიკაზე ყურადღება არ გაემახვილებინა - სპექტაკლი ისედაც ანტიცარისტული განწყობისა გახლდათ და მდგომარეობის დამძიმება არ მინდოდა.

აი, ეს მომენტიც მოახლოვდა და დიმა ჯაიანმა ტირადა არამცთუ ხმადაბლა, არამცთუ მიფუჩჩეზულად, ისეთი გზნებით, ისეთი შემართებით წარმოსთქვა - გვონებ, კომპარტიის ცკკას მდივანსაც კი პირდაპირ მიმართავდა. გეგონებოდათ, დარბაზი დაინგრავო. დავიღუპეთ, ეს ტაშის გრილი ჩვენი განაჩენი იყო. ტაში არ ცხრებოდა, ამას შეძახილებიც მოჰყვა.

სპექტაკლი დამთავრდა თუ არა, ცკ-ას მდივანი, მისი თანამშრომლები, საქართველოს კულტურის დიდებული მინისტრი და კომპოზიტორი ოთარ თავთაქიშვილი, აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი, ჩემი დიდი მეგობარი ალექსი არგუნი (რომელიც ძალიან ნერვიულობდა, რადგან გაზეთ „კომუნისტში“ ამ სპექტაკლზე უკვე დაბეჭდილი ჰქონდა ერთობ დადებითი რეცენზია), თეატრის დირექტორის ოთახში სათათბიროდ შევიდნენ. გოგი ქავთარაძეს და მე გვთხოვეს არ შევსულიყავით - ან რა საჭირო იყო: ჩვენ ჩვენი სათქმელი უკვე ვთქვით.

თათბირის შემდეგ ალექსი არგუნი აღფრთოვანებული საუბრობდა ოთარ თავთაქიშვილის აზროვნების მასშტაბებზე - მან თურმე ისე გონივრულად გააანალიზა სპექტაკლი (პიესას ადრიდანვე იცნობდა), პარტიულ მუშაკებს უხმოდ დაუტოვებიათ თეატრი.

გურამ ბათიაშვილი


ის ყოველთვის საქართველოსთან ღვს

დიმიტრი ჯაიანი ერთ-ერთი წამყვანი მსახიობია ქართულ თეატრში. ის მაღალი რანგის პროფესიონალია, დიდი გაქსენისა და ამპლიტუდის ადამიანი. მას ერთნაირად კარგად შეუძლია შეასრულოს როგორც ტრაგედია, ისე კომედიის ჟანრი. ძალიან კარგად კითხულობს ქართულ პოეზიას. კარგი გარეგნობა და შესანიშნავი ხმის ტემბრი აქვს, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მსახიობისთვის. რაც მთავარია, ის გულწრფელი მსახიობია, დიდი ენერგიითა და ტემპერამენტით გამოირჩევა.

სოხუმის თეატრის გარდა, დიმა მოღვაწეობდა მარჯანიშვილის თეატრში, რუსთაველის თეატრში, თავისუფალ თეატრში. ის გადაღებულია არაერთ ქართულ და არა მხოლოდ ქართულ ფილმში. მე მასთან საკმაოდ ნაყოფიერი შემოქმედებითი ურთიერთობა მაკავშირებს, ნათამაშევი აქვს ჩემს არაერთ სპექტაკლში. მათ შორისაა სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატი“, სადაც შესანიშნავად შეასრულა ოთარ-ბეგის როლი. ასევე ითამაშა ქამალ აბდულას პიესა „ფასკუნჯში“ მთავარი როლი, „მედეაში“ - მეფე კრეონტის, შილერის „მარიამ სტიუარტში“ - ლორდი ბერლეის როლი. ის ასევე შესანიშნავად კითხულობს პროზისა და პოეზიის ნიმუშებს გურამ საღარაძის, ზინაიდა კვერენჩილაძის, მურმან ჯინორიას, მარინა კახიანის და სხვათა გვერდით. ბოლო პერიოდშიც ბევრი სიახლე შემატა თავის შემოქმედებით საქმიანობას. გამოვარჩევი მის როლებს ლადო ასათიანის ლექსების მიხედვით შექმნილ პიესაში „ირმის უკანასკნელი ბლავილი“ და თემურ ჩხეიძის სპექტაკლში „ზღვა, რომელიც შორია“, ასევე ნუკრი ქანთარაძის მიერ დადგმულ შექსპირის „კორიოლანოსში“.

რაც შეეხება მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მოკლედ ვიტყვი, ის ყოველთვის იდგა იქ, სადაც იდგა საქართველო; იბრძოდა, როცა ბრძოლა იყო საჭირო, ტკიოდა, როცა იყო სატიკივარი, მოლაპარაკებებში მონაწილეობდა, როცა ამას მოითხოვდა შექმნილი ვითარება. ავ-კარგიანი ადამიანია, ემოციური და ადვილადფეთქებადი, მაგრამ დიდხანს არ მიჰყვება ეს აფეთქება. ძალიან კეთილია და მიმტევებელი. ამასთანავე, ძალიან მზრუნველი ბაბუაა.

გორა კაპანაძე



სუმბათაშვილი-იუჟინი, „ლალატი“

მოქვის ღვთისმშობლის ტაძარი

პირველი გვერდიდან

მოქვის საეპისკოპოსოს ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას.

მოქველთა შესახებ ცნობები დაცულია ქართულ და უცხოურ წყაროებში, თუმცა ეს ცნობები ძალზე მწირია. X საუკუნიდან ვიდრე XII საუკუნემდე მოქველი მღვდელმთავრების შესახებ არა ვიცით რა.

XII საუკუნეში მოქვის კათედრაზე მოღვაწეობდა **მთავარეპისკოპოსი გრიგოლი**. იგი იხსენიება მოქვის სამრეკლოს ასომთავრულ წარწერაში, საიდანაც ჩანს, რომ სამრეკლო მოქველ მთავარეპისკოპოსს გრიგოლს აუგია.

შემდეგი ჩვენთვის ცნობილი მოქველი მღვდელმთავარია **მთავარეპისკოპოსი დანიელი**, მოქვის ოთხთავის (1300 წ.) მომგებელი. მისი მოღვაწეობა მოქვის კათედრაზე, პირობითად, XIII ს. მიწურულითა და XIV ს. დასაწყისით განისაზღვრება.

მთავარეპისკოპოსი აბრაჰამი მოქვის ოთხთავის მინაწერში იხსენიება. რადგან იგი ხელნაწერის მომგებელისა და გადამწერის ანდერძის შემდეგ მოიხსენიება მოგვიანებით გაკეთებულ მინაწერში, საფიქრებელია, რომ იგი დანიელ მოქველის შემდეგ მოღვაწეობდა მოქვის კათედრაზე, სავარაუდოდ, XIV ს. I ნახევარში. XIV საუკუნის მოღვაწე ჩანს **ამბროსი მოქველი**, რომელიც ასევე მოქვის ოთხთავის მინაწერში იხსენიება.

XIV საუკუნის 60-იან წლებში მოქვის კათედრაზე მოღვაწეობს **ლუკა ოძრხელი**. ცნობილია, რომ მან 1363 წელს წმიდა მინაზე იმოგზაურა.

მოქვის ოთხთავის კიდევ ერთ, უფრო გვიანდელ მინაწერში **მთავარეპისკოპოსი ფილიპე ჩხეტიძე** მოიხსენიება. თედო ჟორდანია მოიხსენიებს მისხედვით XVI საუკუნით ათარიღდება. მოგვიანებით, იგი, სავარაუდოდ, XV საუკუნის მინაწერად იქნა მიჩნეული, თუმცა მოქვის კათედრაზე მისი მოღვაწეობის ხანის დაკონკრეტება ჭირს.

ჩვენთვის ცნობილი შემდეგი მოქველი მღვდელმთავარია **რომანოზი**, რომელიც თოფურიძეთა სასისხლო სიგელში იხსენიება. ეს სიგელი 1412-1442 წწ. თარიღდება და, ამდენად, რომანოზ მოქველიც ამ ხანის მოღვაწეა.

XV საუკუნის დასასრულის მოღვაწეა **საბა მოქველი**. იგი იხსენიება მალნარაძეთა სასისხლო სიგელში, რომელიც XV ს. უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება. შემდეგი მოქველი მღვდელმთავარია **მთავარეპისკოპოსი ელია**. იგი იხსენიება მოქვის ომოფორის წარწერაში: „ამა ომოფორისა მომჭირნესა მოქველ-დრანდელ მთავარეპისკოპოსსა ელიასა შ“ს ლ“წ“. თ. ჟორდანია მოქვის ომოფორს XIV საუკუნით ათარიღდება. თითქოს, ამ პერიოდის მოღვაწე უნდა იყოს მთავარეპისკოპოსი ელიაც, მაგრამ მოქვის ომოფორის წარწერებში მოხსენიებული სხვა პირების: მამია დადიანის, ლიპარიტ დადიანის, ლომკაც ჭილაძის იდენტიფიკაციის საფუძველზე, მისი შეკერვის თარიღად XVI ს. პირველი მესამედი განისაზღვრა. ამ ხანის მოღვაწეა მთავარეპისკოპოსი ელიაც, რომელიც წარწერის მიხედვით ორ კათედრას – მოქვისას და დრანდისას განაგებდა.

XVI საუკუნის შუა ხანებში, დაახლ. 1543-1549 წწ. შორის, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510-1565) ინიციატივით მოწვეულ იქნა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება ზნეობის დაქვეითებისა და საეკლესიო წესჩვეულებების დარღვევების გამო გარკვეული ზომების მისაღებად. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „...ჟამთა ამათ შინა... იქმნა განტევაბა ცოლთა, კლვა კაცთა და იდუმალ ტყვს ყიდვა და უჯერონი სჯულსა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა“. საეკლესიო კრებას ესწრებოდნენ ქართლის კათალიკოსი მალაქია, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი ევდემონ I ჩხეტიძე (1543-1578) და „ყოველნი ეპისკოპოზნი იმერეთ-ოდიშისანი“, მათ შორის მოქველიც. საეკლესიო კრებამ მკაცრად იმსჯელა აღნიშნულ საკითხებზე, ჯეროვანი შეფასება მისცა მათ და საეკლესიო და ზნეობრივი ნორმების დასაცავად შეიმუშავა „სამართალი კათალიკოზთა“. სამწუხაროდ, წყაროებს არ შემოუნახავთ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრების მონაწილე მოქველის სახელი.



შემდეგ, დაახლ. XVI ს. 50-70-იან წლებში მოქვის კათედრაზე **მთავარეპისკოპოსი ეფთიმე საყვარელიძე** მოღვაწეობს. იგი არის მომგებელი მეტაფრასისა, რომელიც 1560-1578 წწ. თარიღდება. მთავარეპისკოპოსი ეფთიმე საყვარელიძე იხსენიება აგრეთვე მოქვის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში, რომელიც მისი ბრძანებით მოუჭედავთ. მოგვიანებით, 1578-1616 წწ. ეფთიმე საყვარელიძე აფხაზეთის კათალიკოსია.

1639-1640 წწ. ოდიშის სამთავროში იმყოფებოდნენ რუსეთის მეფის მიხეილ რომანოვის (1613-1645) დესპანები: დიაკი ფედოტ ელიჩინი და მღვდელი პავლე ზახარიევი. პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ცნობების შეგროვების გარდა, მათ დავალებული ჰქონდათ, გამოეცვლიათ ოდიშის სამთავროს მოსახლეობის სარწმუნოებრივი მდგომარეობა. ამ მიზნით, მათ საშუალება მისცეს ოდიშის ყველა ეპარქია მოენახულებინათ. 1640 წლის 8 თებერვალს ისინი იყვნენ მოქვეში, სადაც **მაქსიმე მოქველს** შეხვდნენ. მაქსიმე ეპისკოპოსის მოღვაწეობა მოქვის კათედრაზე პირობითად XVII ს. 30-40-იანი წლებით შეიძლება განისაზღვროს. რუსეთის მეფის ელჩებმა დაათვალიერეს საკათედრო ტაძარი, მოიხილეს და აღწერეს მისი სინმინდებები.

1658 წლის ივლისში ოდიშის სამთავროში იერუსალიმის პატრიარქი პაისიოსი ჩამოვიდა. ერთ-ერთი პირველი, ვინც ოდიშის ნავსადგურსკურჩაში, მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე, იერუსალიმის პატრიარქსა და მის თანხმლებ დოსითეოსს (შემდეგში, 1669-1707 წწ. იერუსალიმის პატრიარქი) შეხვდა, იყო მოქველი ეპისკოპოსი, რომელმაც ისინი მოქვის საკათედრო ტაძარში ისტუმრა, ხოლო შემდეგ ზუგდიდში, ოდიშის მთავრის ვამეყ III დადიანის (1657-1661) სასახლეში მიაცილა. დოსითეოსი, რომელიც აღწერს საქართველოში მოგზაურობას, სამწუხაროდ, ამ მოქველის სახელს არ ახსენებს.

XVII ს. 60-იანი წლების დასაწყისში მოქვის კათედრას **ეპისკოპოსი ანდრია** განაგებდა. მას იხსენიებს ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი (1636-1672), რომელიც 1664-1665 წწ. ოდიშის სამთავროში იმყოფებოდა. ეს ანდრია მოქველი უნდა იყოს ანდრია საყვარელიძე, რომელიც იხსენიება მისი ბრძანებით მოჭედული მოქვის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში. აღსანიშნავია, რომ რუსი ხელოვნების ისტორიკოსის, პეტერზურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, ნიკოდიმე კონდაკოვის აზრით, წარწერა XVI-XVII საუკუნეებზე ძველი არაა და ანდრია საყვარელიძეს ის XVII საუკუნის მოქველ მღვდელმთავრად მიიჩნევდა.

მაკარი ანტიოქიელმა ტყვის სყიდვაში მონაწილეობის გამო ანდრია მოქველი ეკლესიიდან განკვეთა და ეპისკოპოსად სხვა აკურთხა, თუმცა ამ უკანასკნელის სახელს ის არ იხსენიებს. როგორც ჩანს, ესაა უკანასკნელი ეპისკოპოსი მოქვის კათედრაზე. თ. ჟორდანის ცნობით, XVII საუკუნეში მოღვაწეობდა **იაკობ მოქველი**. შესაძლოა, სწორედ ის იყოს უკანასკნელი მოქველი.

XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან მძიმედრო დაუდგა მოქვის ეპარქიას. ამ დროიდან აფხაზთა შემოტევის ახალი ტალღა იწყება ოდიშზე. თუკი XVI ს. მიწურულსა და XVII ს. დასაწყისში აფხაზებმა მიიტაცეს ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ტერიტორია „ანაკოფიის მდინარიდან“ (მდ. ფსირცხა) და მდ. კელასურს შორის, ახლა ისინი იწყებენ ბრძოლას მდ. კელასურის აღმოსავლეთი მინა-წყლის მისატაცებლად. „ხოლო ჟამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან“, – აღნიშნავდა ვახუშტი ბატონიშვილი. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (1669-1707) გულისტკივლით წერდა, რომ აფხაზებმა გაანადგურეს დადიანის სამფლობელო, „აიკლეს ეკლესიები და მონასტრები: მოქვი, ზოფი, ქიაჩი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე და ფაზისამდე“ (სოხუმიდან ცხენისწყლამდე და რიონამდე), ამასთან, „დადიანი ისეთი უმწეო იყო, რომ ძალა არ შესწევდა გაერეკა აფხაზები“.

ამ პერიოდში, ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ეკლესია-მონასტრებიდან უსაფრთხო ადგილას, ოდიშის შიდა რაიონებში გადმოჰქონდათ საეკლესიო წიგნები, ხატები, ჯვრები, საეკლესიო ინვენტარი. ასე აღმოჩნდა მოქვის ორი ღვთისმშობლის ხატიდან ერთი ზუგდიდის ეკლესიაში, ხოლო მეორე – ხობის მონასტერში; ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში – მოქვის ოთხთავი (1300 წ.) მარტვილში გადმოუტანიათ; ასევე ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლი, მოქვის კიდევ ერთი ოთხთავი (XII-XIII სს.) შემდეგ გიორგი დადიანის ოჯახში აღმოჩნდა. ამ უკანასკნელმა იგი მზითვად უბოძა თავის ასულს თამარს, იმერეთის სამეფოს სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის მეუღლეს, მან კი, თავის მხრივ, იგი ჯრუჭის მონასტერს შესწირა და ამჟამად ჯრუჭის II ოთხთავის სახელითაა ცნობილი.

1681 წელს აფხაზებმა მიიტაცეს ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდ. კელასურიდან მდ. ლალიძგამდე. ამ ტერიტორიაზე შეუძლებელი გახდა ქრისტიანული ეკლესიის ფუნქციონირება, რის შედეგადაც დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები გაუქმდა. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ამბების

შესახებ აღნიშნავდა: „გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღესწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდნენ ნავებითა და ხმელითა და სტყუენიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდნენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“.

ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მკვიდრი ქართული მოსახლეობა, ვინც ეს მხარე არ დატოვა და მახვილს, შიმშილს და ავადმყოფობას გადაურჩა, თანდათან გააფხაზდა. ასე მოხდა მოქვსა და მის შემოგარენშიც. საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ მოქვის ტაძარი დაცარიელდა და გაპარტახდა. აფხაზეთში ქრისტიანობა უმთავრესად შემორჩა ოდიშის (სამეგრელოს) მომიჯნავე ნაწილში – მდ. ლალიძგასა და მდ. კოდორს შორის. სამეგრელოს დედოფალი ნინო დადიანი 1805 წელს წერდა: აფხაზეთში „გლეხნი ... უმეტესნი ქრისტიანობენ და სწამთ ჯვარი და ხატი ჩვენი“-ო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა თბილისში საფრანგეთის კონსულის ჟაკ ფრანსუა გამბას ცნობა, რომ „ბევრმა აფხაზურმა ოჯახმა შემოინახა ქრისტიანობა. მათ წინაპრებად მეგრელები ითვლებიან“-ო. აფხაზების მიერ მიტაცებული ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის გააფხაზებულმა მოსახლეობამ, უმთავრესად გლეხობამ, მეტნაკლებად შეინარჩუნა თავისი სარწმუნოება – ქრისტიანობა. ადგილობრივი გააფხაზებული მოსახლეობა ქრისტიანულ სინმინდეებს კრძალვით ექცეოდა.

XIX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში არც ერთი მოქმედი ქრისტიანული ტაძარი არ იყო. 1809 წლის 23 დეკემბერს დეკანოზი იოანე იოსელიანი მთავარმართებელ პ. ტორმასოვს (1809-1811) აფხაზეთის ეკლესიების აღდგენაში ხელშეწყობას სთხოვდა.

1848 წელს მოქვის ტაძარი ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ მოინახულა: „ამ დიდშენ ტაძარზე მთლიანად მცენარეებია მოდებული. მისი სახურავი დიდ დაკიდებულ ბალს მოგაგონებთ. მოხდენილ გუმბათზე მაღალი ხეებია ამოსული... ტაძრის შიგნით შესანიშნავი სვეტები ისრებივითაა ამართული, რომლებსაც ხუთი ნავი ეყრდნობა. იატაკი კარგად გათლილი მარმარილოს ფილებითაა მოვებული, რომელზეც ფერადი მინის ნამსხვრევებია მიმოფანტული. ჩანს მოხდენილი ჩუქურთმებით შემკული სარტყლები. ყველაფერი ეს სრულყოფილ და ბრწყინვალე ხელოვნებაზე მეტყველებს. ტაძრის მთავარ ნავს, გუმბათის სვეტამდე, გარს უვლის ომ-

მოქვის ღვთისმშობლის ტაძარი

მე-9 გვერდიდან

ვენიერი გალერეა. სვეტებს შორის მოწყობილი თაღები ერთადერთი ნაწილია ტაძრისა, სადაც აგურია გამოყენებული. სამწუხაროდ, თაღები ჩამონგრეულია, სარკმლებს მინები არა აქვთ... არსად ჩანს რაიმე წარწერა. ეზოში აღმართულია ვეებერთელა სამრეკლო... ეზოს მარჯვენა მხარეს ეპისკოპოსის სასახლის ნანგრევებია. მარცხნივ მომცრო ზომის ჩამონგრეული აკლდამაა, ისიც მცენარეებით დაფარული ისევე, როგორც ეკლესიის შემოგარენის დიდი ნაწილი“.

აფხაზეთის ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის (1862-1869) თხოვნით მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ (1823-1864) 1862-1864 წწ. საკუთარი სახსრებით დაიწყო მოქვის ტაძრის განახლება, რისთვისაც 25 ათასი მანეთი ვერცხლით გაიღო. აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და მიხეილ შარვაშიძის რუსეთში გადასახლების შემდეგ ტაძრის აღდგენა შეჩერდა. აღდგენითი სამუშაოების შედეგად ტაძარს სახე შეეცვალა. გუმბათს დაადგეს პატარა როტონდა, დასავლეთით ააგეს ეკვდერი და სხვ. მიხეილ შარვაშიძემ მოქვის ტაძარი სამთავრო სახლის წევრთა აკლდამად აქცია. აქ დაიკრძალა მისი მეუღლე ალექსანდრა დადიანი, ქალიშვილი – ელენე, შემდეგ უკვე თვითონ მიხეილ შარვაშიძეც, მოგვიანებით კი, 1918 წელს, მისი ვაჟი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შარვაშიძე.

1868 წლის მაისში მოქვეში ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) ჩავიდა. 25 მაისს წირვას მოქვის ღვთისმშობლის ტაძარში სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსული ქრისტიანი და ბევრი მაჰმადიანიც დაესწრო. 1868 წლის ცნობით, სოფელ მოქვეში 127 ქრისტიანი და 291 მაჰმადიანი ცხოვრობდა. მეუფემ მონათლა მარშანია, მარლანია და ამ უკანასკნელის ცოლ-შვილი. მარლანიას თხოვნით, ნათლია თვითონ მეუფე იყო, ნათლობის საიდუმლო მღვდელმა დავით მაჭავარიანმა შესარულა. მოგვიანებით, მღვდელმთავარი წერდა: შეუძლებელია „მოქვთან გამომშვიდობება ისე, რომ ორიოდ სიტყვა არ ვთქვა ტაძარზე. მისი არქიტექტურა ორიგინალურია: შინაგანი განლაგების მიხედვით, ტაძარი გამოირჩევა ამიერკავკასიის უმრავლესი ეკლესიებისაგან იმით, რომ ის არის არა ჯვრისებრი, როგორც უძველესი ეკლესიების მეტი ნაწილი, არამედ ნაგრძელეული ოთხკუთხედი; კედლების ირგვლივ ქვების გალერეაა, ზემოთ კი ქორედეები“. მიუხედავად აღდგენითი სამუშაოების ჩატარებისა, რომელიც საკმაოდ ძვირი დაჯდა, როგორც გაბრიელ ეპისკოპოსი გულისტყვილით წერდა, უხარისხო კრამიტით გადახურულ ტაძარში წვიმა ატანდა, კორპუსის და გუმბათის სარკმლები შემინული არ იყო, სამრეკლოზე ზარი არ იყო დაკიდებული და გუმბათზე აღსამართ სპილენძის ჯვართან ერთად ეკლესიაში ინახებოდა. ტაძარს ჯერ კიდევ არ ჰქონდა კანკელი და აუცილებელი საეკლესიო ნივთები.

ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1870-1871 წწ. დაასრულა მოქვის ტაძრის აღდგენა. 1871 წლის 28 ოქტომბერს მოქვეში ჩასული მეუფე აღნიშნავდა, რომ ტაძარი მთლიანად განახლდა. დარჩენილი იყო მხოლოდ კანკელი, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსის შეკვეთით დამზადდა და 1872 წელს დააყენეს ეკლესია-

ში. მღვდელმთავარი შემდეგ წლებშიც არ აკლეს და ყურადღებას მოქვის ტაძარს.

მოქვსა და მის შემოგარენში მრავალი აფხაზი მონათლა არქიმანდრიტმა ანტონმა (დადიანი) XIX ს. 30-იან წლებში. მოგვიანებით, აქ მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა ბერი ათანასე (ჟორდანი). მოქვის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში მღვდლებად მსახურობდნენ: 1862-1863 წწ. ჩხიკვაძე, შემდეგ თოფურია, 1886 წლიდან იესე ჟორდანი, 80-იან წლებში სიმონ ჟორდანი, 1900-1912 წწ. – ნ. ჟორდანი, მასთან ერთად 1906-1910 წწ. შტატგარეშე მღვდელი იყო დ. კაკალია. 1913 წლიდან ეკლესიაში ორი მღვდელი იყო: ვ. მაქაცარია და კ. მინჯია.

1902 წელს ხარკოვის გუბერნიის ბოგოდუხოვოს მონასტრიდან ჩამოსულმა მონაზვნებმა მოქვეში რუსული ღვთისმშობლის მიძინების დედათა მონასტერი დააფუძნეს. ტაძრის გარშემო სამონასტრო ნაგებობები ამოიზარდა. მის შემოგარენში სამონასტრო მიწები იყო. 1906 წლის 7 სექტემბერს მონასტერს სოხუმის ეპისკოპოსი კირიონი (საბაგლიშვილი) ეწვია. „მოქვის მონასტერი მთლად თლილი ქვისაგან არის აშენებული მაღლობზედ მდინარის ნაპირას და მშვენიერიცაა, – წერდა მღვდელმთავარი. – შინაური მისი გეგმა წააგავს ალავერდს, მხოლოდ უფრო მომცროა და გუმბათი დაბალი აქვს. ამ სამი წლის წინად უძალადნაით, ჩამოურთმევით მრევლისათვის და დედათა მონასტრად გადაუქცევიათ. მოლოზნებს შეწირულობით შიგნით გაუთეთრებიათ, თუნუქა გადაუხურნა, ხატები, შესამოსი და ზარები შემწირველებისაგან შეუგროვებიათ, რუსულ ენაზედ წირვა-ლოცვა შემოუღიათ და მთლად დაპატრონებიათ ამ დიდებულ ტაძარს, რომელშიაც 114 მოლოზანი ითვლება“. რუსეთის ხელისუფლება ხუროთმოძღვრული ძეგლების რესტავრაციით ნიღბავდა ქართული კვალის წაშლას აფხაზეთში.

ქართული ტაძრების რუსულ მონასტრებად გადაკეთებას ხელისუფლება მისიონერული მიზნებით ამართლებდა, მაგრამ სინამდვილეში მათ არაფერი ჰქონდათ საერთო მისიონერულ საქმიანობასთან. როგორც ამბროსი ხელაია წერდა, ადგილობრივი მოსახლეობისათვის ყველაზე სათაყვანებელი უძველესი ტაძრების – ბიჭვინთის, ახალი ათონის, დრანდის, მოქვის, არა იმდენად მისიონერული, არამედ ასიმილაციური პოლიტიკის ცენტრებად გადაქცევამ მათ ძველი დიდება დაუკარგა. ისინი ვერ იქცა აფხაზეთის მოსახლეობაში რელიგიის, ზნეობისა და ცოდნის საწესების გავრცელების წყაროდ.

შუა საუკუნეებში მოქვის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი ქართული კულტურის მძლავრ კერას წარმოადგენდა. აქ არსებობდა სკრიპტორიუმი, სადაც მიმდინარეობდა ხელნაწერების გადაწერა, მორთვა-მოკაზმვა. მოქვის ტაძრის წიგნსაცავიდან მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერი შემორჩა:

მოქვის ოთხთავი (1300 წ.) გადაწერილი დანიელ მოქველის თაოსნობით, ბერი ეფრემის მიერ. ხელნაწერის ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, კლასიკური ნუსხურით, ჩასმულია ვერცხლით მოჭედულ ყდაში (XIX ს.). მოქვის ოთხთავი ერთ-ერთი უმდიდრესი ქართული ხელნაწერია მინიატიურებისა და მორთული



საზედაო ასოების რაოდენობის მხრივ. მინიატიურები, რომლებიც თანმიმდევრულად ასურათებენ ტექსტის შინაარსს, შესრულებულია ღია ნათელი ფერებით, საზედაო ასოებით ფერადებით და ოქრომელნით. მათი შესრულება დიდი ოსტატობით და სიფაქიზით გამოირჩევა.

ოთხთავი (XII-XIII სს.) გადაწერილია ნუსხურით, დასაწყისები ასომთავრულით არის შესრულებული, შემკულია შესანიშნავი მინიატიურებით, კამარებითა და საზედაო ასოებით. ამჟამად ცნობილია ჯრუჭის II ოთხთავის სახელწოდებით.

მეტაფრასი (XVI ს.), გადაწერილი მოქველი მთავარეპისკოპოსის ეფთვიმე საყვარელი ბრძანებით. ესაა სასულიერო მწერლობის თხზულებების ისეთი რედაქცია, რომელიც ძველ ტექსტებს შესწორებულად და გავრცობილ-შემკულად წარმოგიდგენს. დაწერილია ნუსხურით, ორ სვეტად. გადამწერია ნეკრატოზ ციმცაძე.

მოქვის სიძველეებიდან ასევე ცნობილია: ღვთისმშობლის ხატი (XVI ს.) მოჭედილი მოქველი ეფთვიმე საყვარელი ბრძანებით; ღვთისმშობლის ხატი (XVII ს.) მოჭედილი მოქველი ანდრეას ბრძანებით; მოქვის ომოფორი (XVI ს.), შეკერილი მოქველ-დრანდელი მთავარეპისკოპოსის ელიას ბრძანებით.

იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის

ცნობით, ტაძარი მოხატული ყოფილა, ის იხსენიებს წარწერასაც, მაგრამ წარწერა და ფრესკული მოხატულობა არ შემორჩენილია მხოლოდ სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა მოქვის სამრეკლოდან, ამოკვეთილი ქვის ფილაზე. წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XII საუკუნით თარიღდება: „ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ და მფარველ ექმენ გრიგოლ მოქველ მთავარეპისკოპოსსა გუდანის ძესა“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოქვის მონასტერს მიწები ჩამოართვეს და მალე მონასტერიც დაიხურა. ამის შემდეგ უღმერთობის „დიდი ღამე“ დადგა.

1968 წელს ფართოდ აღინიშნა მოქვის ტაძრის 1000 წლისთავი. ამ დროისათვის ტაძარი აღადგინეს, მოხსნეს XIX საუკუნის ფენები და ტაძარმა თითქმის თავდაპირველი იერი დაიბრუნა. 2002 წლიდან ტაძარში ღვთისმსახურება ტარდება, თუმცა არა რეგულარულად. იმედია, მალე ფართოდ გაიღება მოქვის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის კარები და როგორც უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთათბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს, სულ მალე დადგება ის დღე, როდესაც ქართველები და აფხაზები ერთად აღავლენენ ლოცვას სამშობლოს კეთილდღეობისათვის.



წლეულს რევაზ დადიანი - აფხაზეთის ათგზის ჩემპიონი ჭადრაკში 60 წლის გახდებოდა. ამასთან და-კავშირებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და აფხაზეთის განათლებისა და კულ-ტურის სამინისტროს ინიციატივითა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ვ. ქარსელაძის სახელობის სკოლის მხარდაჭერით, მემორიალური ტურნირი გაიმართა. ტურნირის მსვლელობის პარა-ლელურად მსოფლიო ჩემპიონმა ნანა ალექსანდრიამ საჭადრაკო სეანსი მოაწყო.

ამ ამბავს ჩვენი ერთი მკითხველი, რევაზ და-დიანის თანაგუნდელი და სოხუმის იმჟამინდელი ჩემპიონი მოჭადრაკე ვაჟთა შორის კონსტანტინე ჯოჯუა, ამჟამად ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გამოეხმაურა და სოხუმის საჭადრაკო ცხოვრებაზე საინტერესო მოგონებები შემოგვთავაზა.

სურათზე: 1970 წელი. სოხუმის სპორტული სკოლა. პარტიის გარჩევისას. დგას მწვრთნელი სანდრო არონი-შიძე; სხედან: მარცხნიდან მესამე – კონსტანტინე ჯო-ჯუა, მარცხნიდან მეხუთე – რევაზ დადიანი.



სოხუმი საინტეხესო საჭადრაკო ისტოიების ქაღაჩი იყო

აონსტანტინე აოჯაუ

სოხუმის მოსწავლეთა სპორტული სკოლა ქალაქის ცენტრში მდებარეობდა. მაღალი ორსართულიანი შენობა მუქი მწვანე ფერის, ლამაზ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოად-გენდა, მაღალი სვეტებით, ირგვლივ შემორიგე-ბული პალმებითა და სხვა სუბტროპიკული მცენარეებით. საჭადრაკო სექცია მეორე სართულზე იყო და დიდი ოთახი ეჭირა. საჭადრაკო სექციაში მე-6 კლასიდან მიმავა-რეს. სწორედ ამავე დროს დაიწყო აქ სია-რული მოგვიანებით, უკვე აფხაზეთში და მთელ საქართველოში ჭადრაკის მოყვარულთათვის კარგად ცნობილმა, აფხაზეთის ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანმა და თვალსაჩინო მოჭადრაკემ, აფხაზეთის ათგზის ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა რევაზ დადიანმა. მე და რეზო ტოლეტი ვიყავით და ჩვენ თავიდანვე დავმეგობრდით.

სპორტული სკოლის პირველი სართული, უზარმაზარი დარბაზი ტანმოვარჯიშებს, აკრობატებს, კალათბურთელებს ეკავათ. შენობა საინტერესოდ იყო დაპროექტებული - იგი სინამდვილეში ერთსართულიანი იყო, მაგრამ იმდენად მაღალი იყო, რომ მეორე სართულზე მოჭადრაკეები და მომავლები ვიყავით დაბინავებული. ჩვენ შესვენები-სას გამოვდიოდით ოთახიდან და მოაჯირს დაყრდნობილი ინტერესით ვადევნებდით თვალყურს ტანმოვარჯიშებს.

აქვე მინდა ვახსენო 60-იანი წლებისა და შემდგომი პერიოდის სოხუმის სპორტუ-ლი სკოლის აღზრდილი ზოგიერთი მოჭ-ადრაკე თუ მწვრთნელი: სანდრო არონი-შიძე, ავთანდილ გიორგაძე, თემურ ჭახრაკია, ვლადიმერ მისაბიშვილი, რეზო კალანდია, რომლებთან ერთადაც არაერთ საინტერესო მატჩში თუ ტურნირში მიმიღია მონაწილეობა. სწორედ იმ წლებში იქმნებოდა აფხაზეთის საჭადრაკო ისტორია, რომელსაც რაც დრო გავა, უფრო მეტი ფასი დაედება. ალბათ, ვინმე უფრო ვრცლად და საინტერესოდ დაწერს ამ ყველაფერზე, მე კი რეზო დადიანის იუბილის გამო, მხოლოდ მასთან დაკავშირებულ ამბებს გავისხენებ.

* * *

1969 წელი იდგა. თბილისში საქარ-თ-ველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ჭადრაკში იმართებოდა. ტურნირში როგორც თბილისის, ისე რესპუბლიკის სხვა კუთხეების ოცამდე მოჭადრაკე ვმონაწილეობდით. აფხაზეთს მე და რეზო დადიანი წარმოვადგენდით. ჩემ-პიონატი საინტერესოდ წარიმართა, ჩვენც წარმატებულთა შორის აღმოვჩნდით, რეზო ჩემზე წინ გავიდა. აქვე აღვნიშნავ, რომ იგი ჩემზე ძლიერი და ნიჭიერი მოჭადრაკე იყო.

იშვიათად, მაგრამ როდესაც მოუფეგბდი, ძა-ლიან მიხაროდა ხოლმე. ამდენი ხნის შემდეგ, დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ იმ დღეებს. ტურნირი სასტუმრო „საქართველოში“, მე-2 სართულზე, ერთ-ერთ დარბაზში ტარ-დებოდა, ისე, რომ სასტუმროს ბინადრებთან უშუალო შეხება არ გვექონდა. თუმცა, ისინი ხშირად მოდიოდნენ და თამაშის მსვლელო-ბას აკვირდებოდნენ. ჩვენ სოხუმელი მოჭ-ადრაკეები, სხვა რეგიონების სპორტსმენებთან ერთად იქვე სასტუმროში ვცხოვრობდით. შესაბამისად, სასტუმროს რესტორანშივე ვსაუზმობდით, ვსადილობდით თუ ვვახშობ-დით. რესტორნის პერსონალი ყოველთვის ყურადღებით გვექცეოდა. საერთოდ, მინდა ვთქვა რომ ჭადრაკი 60-იან და 70-იან წლებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა და ამას ჩვენ ახალგაზრდა მოჭ-ადრაკეებიც ნათლად გვრძნობდით.

ერთ საღამოსაც რესტორანში მრგვალ მაგიდას მივუსხედით, ექვსნი თუ შვიდ-ნი ვიყავით. მსუბუქად ვვახშობდით ხოლმე - სოსისი, ომლეტი, ჩაი... საერთოდ, საბ-ჭოთა პერიოდში, საღამოობით, რესტორ-ნებში, მით უფრო პრესტიჟულ რასტორ-ნებში ხშირად რიგები იდგა. ამ მხრივ არც სასტუმრო „საქართველოს“ რესტორანი იყო გამოჩენილი. საჭადრაკო ტურნირის მონაწილეებს ეს არ გვეხებოდა, ჩვენს ორ მაგიდას ისედაც ეწერა - „დაკავებულია“. საღ-ამოობით, რესტორანში მუსიკა უკრავდა და ცეკვები იმართებოდა. იქ ყოფნა ძალიან სა-სიამოვნო იყო, თუმცა, როგორც წესი, ნახ-ევარ ან ერთ საათში ვტოვდით დარბაზს და ჩვენი ნომრებისაკენ მივეშურებოდით. იმ საღამოს კი რეზო გვერდითა მაგიდასკენ მან-იშნებს: - კოტე, შეხედე, შეხედე, ვინ ზისო! გავიხედე და... თვალები გამიფართოვდა: ედ-უარდ სტრელცოვი! სახელგანთქმული ფეხ-ბურთელი, ცოცხალი ლეგენდა, საბჭოთა ნა-კრებისა და მოსკოვის „ტორპედოს“ მოქმედი თავდამსხმელი. გავახსენდა, რომ საბჭოთა ჩემპიონატის ფარგლებში, მოსკოვის „ტორ-პედო“ იყო ჩამოსული თბილისის „დინამო-სთან“ სათამაშოდ. ყველაწი ყურადღებით მივაჩერდით მეზობელ მაგიდას. იმ პერი-ოდში მესიც ის იყო ჩვენთვის და რონალ-დოც! ვაკვირდებოდით, რას ჭამდა სტრელ-ცოვი, როგორ ეჭირა თავი, ვცდილობდით, გაგვეგო, რაზე ლაპარაკობდა. დღემდე კარ-გად მახსოვს, ორი ულუფა მწვადი ედო თევშზე, ლიმონათს სვამდა. სიტყვებს ვერ ვარჩევდით - უკვე ორკესტრიც უკრავდა. ამასობაში, ალბათ, გვარიანი დროც გავიდა. უცებ, უკნიდან, კარების მხრიდან ხმამა-ღალი ხმები, ყვირილი შემოგვესმა: „გამო-აგდეთ ეს ბავშვები, იქ რომ სხედან და ჩაის სვამენო!“, კარისკაცს მსუქანი ბიძიები უტევდნენ, ლამის შემოემტვრიათ კარები. ოფიციალტები მივარდნენ: - ესენი სპორტს-მენები არიან და ამის უფლება არ გვაქვსო, - უთხრეს. ჩვენ თითქოს გამოვფხიზლდით, სტრელცოვს მზერა ავარიდეთ, წამოვდექით და რესტორანი ფეხათრევეთ დავტოვეთ.

* * *

1968 წელი საჭადრაკო წელიწადი იყო. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მეო-თხედფინალური მატჩებიდან ერთ-ერთი - სპასკი-გელერის მატჩი გაზაფხულზე, სოხ-უმში ჩატარდა, რაც დიდი პატივი იყო სოხუმელებისთვის. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ასეთი რანგის საჭადრა-კო დუელი მამაკაც მოჭადრაკეებს შორის საქართველოში არასდროს ჩატარებულა. მატჩი ულამაზეს გარემოში, სინოპის რაიონ-ში, გორკის სახელობის კულტურის სახლში მიმდინარეობდა. დადგა მოჭადრაკეებისა და ჭადრაკის მოყვარულთათვის „ოქროს ხანა“ და რა გასაკვირია, რომ ჩვენც, ახალგაზ-რდა სპორტსმენები - რეზო დადიანი, რეზო კალანდია და მე, აფხაზეთის ახალგაზრდუ-ლი ნაკრების წამყვანი მოთამაშეები - მთელ საღამოებს ამ კლუბში ვატარებდით.

კლუბი ყოველ საღამოს გადაჭედული იყო, იქაურობა მატჩზე დასწრების მსურვე-ლებს ვერ იტევდა. სპასკი წარმოსადგეი, სიმპათიური მამაკაცი იყო. ის შესამჩნევად ხშირად დგებოდა და მოსაწვეი ოთახისაკენ მიემართებოდა. ბევრს ეწეოდა. გელორი კი არ მახსოვს, ერთხელაც გასულიყოს სა-თამაშო ოთახიდან. სკამიდანაც იშვიათად დგებოდა და ისიც იმიტომ, რომ ორივე ხელით დაყრდნობდა საზურგეს და ასე მიეპყრო მზერა ჭადრაკის დაფისთვის.

ერთხელ რეზო კლუბში განსაკუთრებით გახარებული დამხვდა: - მატჩის ერთ-ერთი დემონსტრატორი ავად გახდა და პარტიის დემონსტრირება მე მთხოვესო. საერთოდ, თამაშის დღეს, ორ დიდ ვერტიკალურად გან-ლაგებულ საჭადრაკო დაფასთან ორი დემ-ონსტრატორი მუშაობდა. ისინი დარბაზში მყოფ მაყურებელთათვის დაფაზე ფიგურებს გადაადგილებდნენ, ანუ დიდოსტატების სე-ლებს იმეორებდნენ. ძალზედ პრესტიჟული იყო კუმირებთან დგომა, ადამიანებთან, რომელთა ხელოვნებას წლობით სწავლობ-დი. ბორის სპასკი კი სწორედ იმ წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში.

მეორე დღეს თამაშის დაწყებამდე ცოტა ადრე მივედი კლუბში. რეზომ ჩემ-თან მოირბინა, უბედნიერესი, გაბრწყინებუ-ლი თვალები ჰქონდა. - კოტე, სპასკიმ და გელორმა ხელი ჩამომართვეს და გამიღიმე-სო, - მითხრა და გაიქცა ისევ სცენისაკენ, საიდანაც მალე ახალი პარტიის დემონსტრი-რება უნდა დაეწყო.

* * *

სოხუმში, ამ ულამაზეს ქალაქში ხშირად ჩამოდიოდნენ განთქმული მოჭადრაკეები ხან ტურნირში (მათ შორის საერთაშორისო) სათამაშოდ და ხანაც სტუმრად, რომლის დროსაც ერთდროული თამაშის სეანსებს ატარებდნენ ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი სე-ანსი 1967 წელს სოხუმში სტუმრად მყოფ-მა მსოფლიოს ექსჩემპიონმა, ჰოლანდიელმა

მაქს ეივემ ჩაატარა. მთელ ქალაქს სურდა ერთდროული თამაშის სეანსში მონაწილეობა და მთელი ქალაქი ემზადებოდა ამისთვის. მე და რეზოს გაგვიმართლა და ჩვენ, რო-გორც აფხაზეთის ახალგაზრული ნაკრების მოთამაშეები, სიაში მოვხდით. იმ საღამოს, ხალხით გადაჭედულ დარბაზში, ჭადრაკის ლეგენდას მაქს ეივეს ზუსტად არ მახსოვს, 20 თუ 25 დაფაზე უნდა გავმართა ერთ-დროული სეანსი.

თითქოს ბურანში ვიყავი, როდესაც საჭადრაკო დაფას მივუჯექი. გარშემო ხალხი იდგა, მათ შორის ჩემს უკანაც. ექსჩემპი-ონმა პირველი სვლა მეფისწინა პაიკით გაა-კეთა. რამდენიმე სვლის შემდეგ ლაზიერი განია წინ და ჩვეულებისამებრ, შემდეგ მეტოქესთან გადავიდა. ვხედავ, რომ შეც-დომა დაუშვა და ლაზიერი დამისვა, თავი-სუფლად შემეძლო ამელო და აუცილებლად დამხედებოდა. შიშნარევმა სიხარულმა შემიპყრო, ვგრძნობდი, ჩემს უკან როგორ მატულობდა ხალხი. სამარისებური სიჩუმე იდგა - ერთდროული სეანსის დაწყებამდე რამდენჯერმე გააფრთხილეს ყველა, სიჩუმე დაეცვათ. დრო გადიოდა. მაქს ეივე ნელ-ნელა უახლოვდებოდა ჩემს დაფას. არ ვი-ცოდი, რა მექნა, ლაზიერის აღება მერიდ-ბოდა, თან მოგებაც სოლიდური პრესტიჟის ამბავი იყო. და აი, დიდოსტატი ისევ ჩემს დაფასთანაა. მე მექანიკურად დავადე ხელი მის ლაზიერს და ვუთხარი, შეცდომა დაუშ-ვით-მეთქი. მან საოცრად თბილად გამიღ-იმა, მაღლობა გადამიხადა, ლაზიერი თავის ადგილას დააბრუნა და სხვა სვლა გააკეთა. ეიფორიაში ვიყავი. ზურგიდან გაურკვეველი ხმები მესმოდა, თამაში გავაგრძელე, მაგრამ კონცენტრაცია უკვე დაკარგული მქონდა. რამდენიმე სვლის შემდეგ ახლა უკვე მე და-ვუშვი შეცდომა, ეგრეთ ნოდებულ, „ჩანგალ-ზე“ წამოვეგე, ეტლს ვკარგავდი. ამ დროს მაქს ეივემ ყაიმი შემომთავაზა, რაზეც, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ფეხზე ავდექი, ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, მან მხ-არზე მომიმთათუნა... მაშინ რეზომაც ყაიმიტ დაასრულა თამაში დიდ მოჭადრაკესთან და ჩვენს საჭადრაკო ისტორიას საამაყო ეპიზოდი შეემატა.

* * *

გავიდა წლები. ჩემი და რეზოს გზე-ბი გაიყარა: მე სხვა გზით წავედი, რეზო კი საჭადრაკო სამყაროს შემორჩა და ბოლომდე ღირსეულად იარა ამ გზაზე. დასანანია, რომ ის ადრე წავიდა ამ წუთისოფლიდან და მო-ზარდი თაობისთვის თავისი სოლიდური გა-მოცდილების გაზიარება ბოლომდე ვერ მოას-წრო. მისი ხსოვნა დაუფიქრია, მაღლიერების გრძნობით ვარ იმ ადამიანების მიმართ, ვინც ის გაიხსენა და მაღლიერი ვარ, რომ ამ ყველაფრის, სოხუმში გატარებული დაუფიქ-არი დღეების გახსენების საშუალება მეც მო-მეტა. იმედი, ჩვენ სოხუმშიც გავიხსენებთ მას.

„ვალერი არქანას არტ-გალერეაში“ მალე აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საგამომცემლო ცენტრის ჟურნალების „რინა“ და „იალქანი“ პრეზენტაცია გაიმართება. აქვე მოეწყობა ჟურნალ „იალქანის“ მხატვრის დიდი მუხადის ნამუშევრების გამოფენა.

ჟურნალი „რინა“



1975 წელს აფხაზეთში მოღვაწე ქართული საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ „რინა“ დაარსებას ჩაუყარა საფუძველი. აფხაზეთში მცხოვრებ ქართველ მწერალთა უძლიერეს ფრთას, ბევრი საღად მოაზროვნე აფხაზი კოლეგა უჭერდა მხარს. ასე, ერთობლივი ძალისხმევით გამოვიდა ნანატრი ნომერი. იყო პირველდარსების სიხარულიც და მისი სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცებისთვის თავდაუზოგავი ბრძოლაც. იყო დრო, თბილისელი მწერლები, ქართველი სიტყვის ოსტატები საგანგებოდ „რინისთვის“ კმნიდნენ ნაწარმოებებს. რედაქციის ხშირი სტუმრები და ავტორები იყვნენ: ანა კალანდაძე და ირაკლი აბაშიძე, შოთა ნიშნიანიძე და მუსრან მაჭავარიანი, თამაზ და ოთარ ჭილაძეები, გურამ ფანჯვიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოტია იოსელიანი, ტარიელ ჭანტურია, გურამ დოჩანაშვილი... ეს ტრადიცია დევნილობაშიც გაგრძელდა...

ოთხი ათეული წლის განმავლობაში რა არ ნახა, რა არ გადაიტანა რედაქციამ... ღმერთო, როგორ ჰგავს „რინის“ ოცდასამწლიანი ოდისეა მშობელი მინა-წყლისა და საკუთარი ხალხის ბედ-ილბალს!.. რა თქმა უნდა, ის პირვანდელი სიხარული მინელდა, მაგრამ არ გამქრალა, რედაქციის შემოქმედებით კოლე-

ქტივს – „ენა, მამული, სარწმუნოების“ ფასი და მნიშვნელობა არასოდეს დაუკარგავს. რაც მთავარია, რეალური სიერციდან არ გასულა და იმდენიც შეძლო, მონიწივე ქართული ტრადიციული ჟურნალების – „ცისკრის“, „მნათობის“, „საუზგის“ გვერდით დადგა და დამკვიდრდა. ამ პერიოდში მისი რედაქტორი იყო პოეტი გივი ბერაია.

...სამწლიანი პაუზის შემდეგ „რინა“ კვლავ განახლდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით. ჟურნალი კვლავ მივიდა მონატრებულ მკითხველამდე. განახლებული ჟურნალის რედაქტორია მწერალი ზაურ კალანდია.

მართალია, დღეს სოხუმისა და გაგრის ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებში (თუ არსებობს მსგავსი რამ საერთოდ!) არ იყიდება „რინა“, მაგრამ ჩვენს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებში მაინც აღწევს იგი და, საბედნიეროდ, რამდენადაც ვიცით, მკითხველიც ჰყავს.

იქნებ, ის დროც მალე დადგეს, როცა „რინა“ საკმაოდ სოლიდური ტირაჟით სოხუმში იბეჭდებოდა და აქ, დედაქალაქში ორ-სამ დღეში იყიდებოდა და იკითხებოდა კიდევ... ცხოვრება გრძელდება და ჩვენს იმედს არ ვკარგავთ.

იმედი ხომ ყველაზე ბოლოს კვდება!..

ჟურნალი „იალქანი“

1996 წელს დევნილობაში დაარსებულ საყმანვილო ჟურნალ „იალქანს“, რომელიც, ვინ იცის, კიდევ რამდენი ხნით დაკარგულ აფხაზეთზე აფხაზეთის გარეშე ილაპარაკებს, თავისი გამორჩეული მკითხველი ჰყავს – მოსწავლე ახალგაზრდობა.

„იალქანი“ აფხაზეთის ომის შემდეგ შეიქმნა; შეიქმნა იგი ყმანვილებისთვის, „ომის შვილებისთვის“ სულიერი და ეროვნული ცნობიერების საზრდოდ; იმიტომაც, რომ აფხაზეთის დაკარგვიდან 4 წლის შემდეგ მშობლიური კუთხის დავიწყების საშიში პროცესი უკვე დაწყებული იყო.

როგორც ყველა სხვა საბავშვო თუ საყმანვილო გამოცემა, „იალქანიც“ არაპოლიტიკურია. ამიტომაც კითხვას, რატომ დაიკარგა აფხაზეთი, ჟურნალი არასოდეს სვამს.

მაგრამ მუდმივად მოუთხრობს ყმანვილებს იმის შესახებ, რომ მათი და მათი მშობლების ქალაქები, სალოცავები, ადგილის დედა, შორს დარჩენილი, ჩვენია, ქართულია, დასაბრუნებელია.

კომპიუტერულ ეპოქაში, როცა მოზარდი პრაქტიკულად დაცილდა წიგნს და აღმოჩნდა ნიჟილიზმით გაუცხოებულ საზოგადოებაში, „იალქანის“ დანიშნულება განსაკუთრებულია: რაც შეიძლება მეტი მკითხველი ჰყავდეს ჟურნალს.

ჩვენდა საბედნიეროდ, მრავალ სასულიერო გამოცემასთან ერთად, ასეთი გამოცემაც ეხმარება ჩვენს ერს ჭეშმარიტი მამულიშვილების აღზრდაში – დანერს „იალქანზე“ დიდი მწერალი გურამ დოჩანაშვილი.

ჟურნალის ავტორები არიან როგორც აფხაზეთის მკვიდრი პოეტები და მწერლები, პუბლიცისტები, ასევე, ცნობილი ქართველი მოღვაწეები, უცხოელი ავტორები.

2005 წლიდან „იალქანს“ რედაქტორია სოხუმელი ჟურნალისტი – ნანა ჭანტურია.

ჟურნალის შემოქმედებითა კოლექტივმა იზრუნა ყველაზე პატარებისთვის – 2010 წლიდან „იალქანთან“ ერთად გამოდის „აფქიოც“. ეს არის



უამბობს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საამაყო წარსულზე, როცა ეს ორი ხალხი ერთად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ და განურჩეველი მონიწივით თავყვანს სცემდნენ საერთო სალოცავებში დაცულ ქრისტიანულ სინამდევებს.

„იალქანს“ დამაარსებელი და პირველი რედაქტორი (10 წლის განმავლობაში) სოხუმელი – სალომე კაპანაძეა, დღეს უკვე წარმატებული მეცნიერი და პედაგოგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

კონა-კრებული სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის, ყველაზე მხიარული და გასართობი გვერდებით. აფხაზეთში, საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში უდიდეს წმინდანებს მოულოცავთ.


„იალქანი“ ხშირად აშუქებს პუბლიკაციებს წმინდანების, უდიდესი სალოცავების შესახებ. არ შეიძლება, ასეთი მაღლიანი კუთხე დაიკარგოს და იქ „იალქანთან“ ერთად არ დაგვრუნდეთ.

„ილონის ანაჩეცლი“

ფელიქს შაკაიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენის გამოცხადილი

ეკატერინე გადილია

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან არსებულ „ვალერი არქანას არტ-გალერეაში“ მხატვრის მიერ ბოლო 4 წლის განმავლობაში შექმნილი 40-მდე ფერწერული ტილო გამოიფინა.



ფელიქს შაკაია დაიბადა 1951 წელს, ქ. ოჩამჩირეში. უმაღლესი განათლება ქ. ლენინგრადში მიიღო. 1980 წლიდან მუშაობდა გეოლოგიაში. არის სანკტ-პეტერბურგის მინერალოგიის საზოგადოების წევრი. 1988 წ. ქ. ოჩამჩირეში გახსნა ქვის მხატვრული დამუშავების სკოლა „ვერიკა“. 2011 წლიდან დიდი თანამედროვე ქართველი მხატვრის ზურაბ ნიჟარაძის სახელოსნოს ხშირი სტუმარი და მისი ერთგვარი მოწაფეა.

„ფელიქს შაკაია თვითნასწავლი, ფერწერით გატაცებული შემოქმედი. მის გულწრფელ და უშუალო ნამუშევრებში იგრძნობა ნიჭიერება, რაც მთავარია, სიყვარული იმ არჩევანისა, რომელსაც ერთგულად ემსახურება და ჩემი აზრით, საკვირველ შედეგსაც აღწევს. მისი ფერწერა მეტყველი სახოვნებით და ნათელი ტონალობით გამოირჩევა. ბუნებრივია, ყოველივე ეს ტექნიკური სირთულის დაძლევისათვის ერთად დიდ გრძნობასა და განცდასაც მოითხოვს, რის გარეშეც საერთოდ არ იქმნება არც ფერწერული ტილო, არც ლექსი, ხელოვნების არც რომელიმე სხვა დარგის ფასეული ნაწარმოები. ვფიქრობ, ფელიქს შაკაიას შრომა და ძალისხმევა საწინდარი გახდება მისი შემდგომი შემოქმედებითი ნიშნისა და წარმატებისა, რასაც გულით ვუსურვებ“, – ამბობს მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე.

ჟურნალისტი, პროფესორი გიგლა გობეჩია კი წერს: „ფელიქსი სიჩუმით მოხმარე კაცია. დიდხანს დუმდა. ძვირფასი ქვების მხატვრული დამუშავების სტუდია ჰქონდა აფხაზეთში და ბავშვებს ქვის სიმფონიას აზიარებდა, არც ამაზე უყვარდა საუბარი. მხატვრობისკენ რომ მიმართა თავისი ნიჭი, ესეც ახლახ-



ან გახდა ცნობილი. არადა მართლა საინტერესო და თვითმყოფად მხატვრად გვევლინება.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს მისი დებიუტი ქართულ სახვით ხელოვნებაში“.

რედაქტორი ნატო კორსანტია

ნომერზე მუშაობდნენ: მაია შონია, ეკატერინე გადილია, სალომე თორია